# სოლიდარობას ვუცხადებთ „მედიაპალიტრას“

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 14 ივნისი, 2011 წელი.

№109 (6720)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## როცა თავი, თანაც ქალაქისა, სიტყვას მაინცდამაინც ვერ ზომავს... 2

## იუდას ამბორი



3

## უპასუხოდ დარჩენილი კითხვები



4

ანუ ისევ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“...

## „გალა – იტალია“

ქველმოქმედება

## „ევროპისკენ მორბენალნო, ემანდ, ფეხი ქსანთან არ დაგიცდეთ!“ 2

## ვის უპოვია ზვინში ნემსი, ჩვენ რომ ვიპოვოთ? 5

ანუ როდესაც სიმართლე-სამართალი კვლავ ძალის მხარესაა



## გამოჭერაზე ორიენტირებული შემოსავლები 5

მეწარმეებს ამჯერად კერძო ინსპექტორებს მიუქსევენ

## ფეხი დამადგით გულზე ყოველმან! 9



შეთანხმება

# ურთიერთობა ცალმხრივი არ უნდა იყოს

**ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი, მისი უწმინდესობა გარეგინ II საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ოფიციალური ვიზიტით 10 ივნისს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში სომეხთა კათოლიკოსი უკვე შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი გარეგინ II საქართველოში ექვსდღიანი ოფიციალური ვიზიტით პირველად იმყოფება.**

ორი ეკლესიის წინამძღოლმა საპატრიარქოში ეკლესიებს შორის სადავო საკითხები განიხილა, სომხეთსა და საქართველოში სომხური და ქართული ეკლესიებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებაზე, ასევე, სადავო ეკლესიების საკითხის მოგვარებაზე მუშაობის დაწყებაზე შეთანხმდნენ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა, რომ საქართველოში სადავო ეკლესიების თემაზე მეცნიერთა კომისიას მოიწვევს. ილია მეორემ, ასევე, აღნიშნა, რომ ეკლესიების კუთვნილებაზე პრობლემები სომხეთშიც არსებობს და ორ ქვეყანას შორის სამაგალითო ურთიერთობებისთვის არ შეიძლება მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობა იყოს. ანალოგიური ნაბიჯი უნდა გადადგან სომხებმაც.



თავის მხრივ, მიღწეული შეთანხმების გამო მადლიერება გამოთქვა უწმინდესმა გარეგინ მეორემ. მან აღნიშნა, რომ სომხეთში ქართულ თემს იურიდიული სტატუსის მისანიჭებლად პრობლემები არასდროს ჰქონია და არც მომავალში არ შეექმნება. ასევე, განიხილება იქ არსებული ქართული ეკლესიების დაბრუნების საკითხი.

უწმინდესმა გარეგინ II-მ აღნიშნა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ სომხეთში წარმატებით განახორციელოს საქმიანობა.

პატრიარქებმა ერთმანეთს საჩუქრებიც გადასცეს. ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს წმინდა ნინოს ხატი აჩუქა, ხოლო უწმინდესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კი — მომინანქრებული ხატი.

ვიზიტის პროგრამით, სომხეთის ეკლესიის დელეგაციის წევრები ავლაბარში სურბ ეჩმიაძინის სახელობის ეკლესიის ეზოში მდებარე კულტურული ცენტრის „ჰაიარტუნის“ გახსნის ცერემონიას დაესწრნენ. ასევე, სურბ ეჩმიაძინის სახელობის ეკლესიაში წირვა აღევლინა.

13 ივნისს კი, სომხეთის ეკლესიის დელეგაცია ახალციხეში გაემგზავრა. რაიონის შესასვლელში დელეგაციის წევრებს ეპარქიის სასულიერო პირები და ადგილობრივი მთავრობის წევრები დახვდნენ.

ახალციხეში სტუმრებს თამარ მეფის ძეგლთან საზეიმო დახვედრა მოუწყეს. სტუმრებმა ამაღლების სახელობის ტაძარი მოინახულეს. ამავე დღეს სურბ გრიგორ ლუსავორიჩის სახელობის სომხურ ეკლესიას და ახალციხის ჰოვანეს თუმანიანის სახელობის სამ საჯარო სომხურ სკოლას ესტუმრნენ.

დღეს, 14 ივნისს კი, სომხეთის დელეგაცია ახალციხისა და ტაოკლარჯეთის ეპარქიის რეზიდენციას ეწვია. დღესვე სტუმრები გაემგზავრნენ ასპინძაში, სადაც რაიონულ ცენტრში, ასევე, ასპინძის სომხურ მოსახლეობასთან და დამალის სომხური სათვისტომოს წარმომადგენლებთან საზეიმო შეხვედრა გაიმართა.

უწმინდესმა გარეგინ მეორემ, თანმხლებ პირებთან ერთად, ახალქალაქის სურბ ხაჩის სახელობის ეკლესიაში ლოცვა აღავლინა.

ახალქალაქში სტუმრებმა მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ქართული ეკლესია და ტურინის სუდარის მუზეუმი მოინახულეს. ასევე, ახალქალაქის დერენიკ დემირჩიანის სახელობის №4 და №2 საჯარო სომხურ სკოლებსა და წმიდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის ქართულ სახელობო სასწავლებელს ეწვივნენ.

15 ივნისს სომხეთის ეკლესიის დელეგაცია გაემგზავრება ნინოწმინდაში, სადაც ქალაქის ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდება. ხოჯაბეგის სურბ სარგისის სახელობის ეკლესიას ესტუმრებიან და ნინოწმინდის ბავშვთა სახლს მოინახულებენ.

იმავე დღეს სომხეთის ეკლესიის დელეგაციას წალკის რაიონის სოფელ აიაზმაში საზეიმო დახვედრას მოუწყობენ, სადაც სტუმრები ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას შეხვდებიან. იმავე დღეს სომხეთის ეკლესიის დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდება.

**ნატა ნიბლაძე**

ძირი დანახული ჯობს

# როცა თავი, თანაც ქალაქისა, სიტყვას მაინცდამაინც ვერ ზომავს...

**ძალიან კარგი, რომ ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი გვეწვია, თანაც პირველად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს შეხვდა, და ორივე ეკლესიის წინამძღვრებმა ჩვენს ეკლესიებს შორის სადავო საკითხები განიხილეს და შეთანხმდნენ, რომ ორ ქვეყანას შორის სამაგალითო ურთიერთობისათვის არ შეიძლება მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობა, რაც იმას ნიშნავს,რომ ეკლესიათა კუთვნილების პრობლემები სომხეთშიც არსებობს... ერთი სიტყვით, იმ ერთი ძველი ანდაზისა არ იყოს, ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმებად დარჩნენო, სწორედ ისეა საქმე.**

სწორი ანგარიში კი სწორმა, მოზომილმა სიტყვამ იცის, სიმართლეზე დაფუძნებულმა, და არა ერთი ძმის, ამ შემთხვევაში მასპინძელი ძმის, მხრიდან სტუმარი ძმისთვის კოჭის გაგორებამ, რასაც ხშირად ახალი გაუგებრობა მოსდევს...

მგონი კი არა, ნამდვილად ასე დაემართა ჩვენს ქალაქის თავს, რომელიც სიტყვით გამოვიდა ავლაბარში სურბ ეჩმიაძინის ეკლესიის ეზოში სომხური კულტურული ცენტრის „ჰაიარტუნის“ გახსნის ცერემონიაზე. თქვენაო, მიმართა სომხეთის ეკლესიის დელეგაციის წევრებსა და ერევნიდან სტუმრად ჩამოსულ და თბილისელ სომხობას გიგი უგულავამ, ესე იგი სომხებმაო, შექმენით ეს ქალაქიო, ანუ თბილისიო... თავისი ყოფითა და კულტურითაო... მაგრამ კიდევ კარგი „თავი“ უცებ მოეგო გონს და მცირე პაუზის შემდეგ დააყოლა, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ერთადო. ამ ერთ-ერთ ეთნიკურ ჯგუფში, რასაკვირველია, ჩვენც აღმოვჩნდით, ქართველები, რომლებიც „საერთო თბილისური ხასიათის“ მიხედვით თურმე არც არაფრით არ განვსხვავდებით „თბილისის შემქმნელ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთაგან“... მაგრამ თავში ნათქვამს მერე ჩართული აზრი მაინცდამაინც ვერ „მიელოგიკა“ და საბოლოოდ ისე გამოვიდა, თითქოს ჩვენ, თბილისელი ქართველები, სხვათა მიერ შექმნილ ქალაქში ვცხოვრობდეთ.




ალბათ, ამიტომ იყო, რომ ერთმა ჩემმა თბილისელმა მეგობარმა რუსულენოვანმა სომეხმა ჟურნალისტმა, მუჯლუგუნი წამკრა და გამექილიკა, აი, ხომ ხედავ, თვითონ თქვენმა მერმა აღიარა, რომ თბილისი ჯერ ჩვენია და მერე თქვენიო. თბილისი იქით იყოს, სტურუამ, მსოფლიო მნიშვნელობის რეჟისორმა, თქვენი პრეზიდენტიც კი ეთნიკურად ჩვენ მოგვაკუთვნაო...

სომეხი მეგობრის ქილიკს, ბუნებრივია, მეც ქილიკითვე ვუპასუხე, რახან, ჰაოსისა და ქართლოსის ლეგენდისდა თანახმად, ძმები ვართ, როგორც ჩანს, ქართველებს ძმებისთვის არაფერი არ გვენანება-მეთქი, მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელები აგრერიგად გულუხვობას იჩენენ და მასპინძლობა პრინციპულობაზე ხელის აღება ჰგონიათ-მეთქი.

როგორც ხედავთ, „ჰაიარტუნის“ გახსნაზე ჩვენი ქალაქის თავმა ფრიად ისტორიული სიტყვა წარმოთქვა, რომელსაც სომეხ-ქართველთა ურთიერთობაში დავიწყება ნამდვილად არ უწერია... რადგან გარკვეული დროის შემდეგ, ვთქვათ, ერთი საუკუნის შემდეგ, ამჟამინდელი ჩვენი ქალაქის თავის მიერ სტუმართა საამებლად წამოსროლილი ნათქვამი, ალბათ, ისევ დავის საგანი გახდება.

**გურამ წიკლაური**

ბრიფინგი

# „ევროპისკენ მორბენალნო, ემანდ, ფეხი ქსანთან არ დაგიცდეთ!“

## ცაგარეიშვილი პარლამენტის თავმჯდომარის უგულისყურობით გაბრაზებულია

**გუშინ პარლამენტის საკონფერენციო დარბაზში დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა ბრიფინგი ჩაატარა და პარლამენტის თავმჯდომარის მისამართით საყვედურები გამოთქვა. „30 მაისს დავით ბაქრაძეს ოფიციალურად მივმართე და ვთხოვე, ნება დაერთო, შევსულიყავი იმ საპატიმროებში, სადაც 26 მაისის ღამესა და შემდეგ დაპატიმრებულები იმყოფებიან. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-17 მუხლის თანახმად, პარლამენტის თავმჯდომარეს შეუძლია, დეპუტატებს ნებართვის გარეშე საპატიმროებში შესვლის უფლება მოგვანიჭოს, მაგრამ დღემდე ამ უფლების მოპოვებას უშედეგოდ ველოდები“, — აღნიშნა შეურაცხყოფილმა დეპუტატმა.**

გია ცაგარეიშვილი ოფიციალურად ითხოვდა თბილისის № 1 დროებითი დაკავების იზოლატორში მოთავსებული სამი პირის, ასევე №2 იზოლატორში დაკავებული 25 პატიმრისა და რუსთავის წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფი 10 ადამიანის მონახულებას. **„მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ ამ ადამიანებზე მიმდინარეობს ძლიერი ფიზიკური ზემოქმედება, შეურაცხყოფა. მათ აიძულებენ, ჩვენებები მისცენ სახალხო კრების წინააღმდეგ, თითქოს სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა. ყალბ ჩვენებებს ითხოვენ ბურჯანაძის ესკორტის გაქცევასთან დაკავშირებით, რა დროსაც, ხელისუფლების მტკიცებით, ორი ადამიანი დაიღუპა“,** — განაცხადა პარლამენტარმა.

ის ამბობს, რომ პარლამენტის რეგლამენტი ერთ პოლიტიკურ ჯგუფზეა მორგებული, იმაზე, თუ რას ფიქრობენ და რისი გაკეთება სურთ ნაციონალების ლიდერებს, ხოლო უმცირესობის ინტერესები იგნორირებულია. ბაქრაძე კი ინდივიდუალური კეთილგანწყობის მიხედვით არჩევს დეპუტატებს. **„როგორც საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია დაწერის დღიდანვე მკვდრადშობილი იყო, ასევეა პარლამენტის რეგლამენტიც. ეს არის დემოკრატიის ფასადი, თითქოს საკანონმდებლო ორგანო შინაგანაწესს ზედმიწევნით კარგად ასრულებს, მაგრამ რეალობა სხვაა“,** — ამბობს ცაგარეიშვილი.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ამის გამო ხშირად ჩივის უმცირესობის წარმომადგენელი



დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელიც ადამიანის უფლებების საპარლამენტო კომიტეტის წევრია და მისი პირდაპირი მოვალეობაა საპატიმროების მონახულება.

„ბაქრაძემ კარგად იცის, რაც საპატიმროებში ხდება და ამიტომ ყველანაირი საშუალებით ცდილობს, ფხიზელმა თვალმა იქ არ შეაღწიოს. საპატიმროები გარიდებულია სამოქალაქო, სადეპუტატო კონტროლს და ემსახურება წულოვან ტოლერანტობას, ანუ იმას, რაც პარლამენტის ტრიბუნიდან ექვსი წლის წინათ გაახმიანა მიხეილ სააკაშვილმა, ამიტომაც გვყავს დღეს 26 ათასი პატიმარი“, — აღშფოთებულია დეპუტატი გია ცაგარეიშვილი. ის ერთი წლის წინათაც იმავე მოტივით უჩიოდა დავით ბაქრაძეს, ოღონდ მაშინ ძნის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ითხოვდა შეშვებას. დეპუტატის თქმით, ეს ის დაწესებულებაა, სადაც პატიმრებს არსებობისთვის ბრძოლა უწევთ, ინკვიზიტორებით და ჯალათებით გარემოცულებს ერთი სული აქვთ მომდევნო დღე გაუთენდეთ.

სწორედ ამ საპატიმროში გამეფებული ქაოსი და უმძიმესი პირობები მოხვდა ომბუდსმენის 2010 წლის ანგარიშში განსაკუთრებით კრიტიკული კუთხით. დღეს ამ ფაქტების საჯარო განხილვა პარლამენტში დაიწყება, თუმცა უმრავლესობის პოზიცია აქედანვე ცნობილია. ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ეკა ხერხეულიძე ამბობს, რომ მათთვის ანგარიშიდან ბევრი რამე მიუღებელია და „ბრმად“ დათანხმებას არ აპირებენ.

**„რა განსხვავებაა ბერიას და ეჟოვის მეთოდებით მართულ საპყრობილეებსა და კალმახელიძის ციხეებს შორის? — იკითხა გია ცაგარეიშვილმა, — ქართული სასჯელაღსრულების სისტემა ყვარყვარეს ჯურღმულს რომ დაამსგავსეს. დღეს, XXI საუკუნეში პატიმრებს აშიშვლებენ და სადამსჯელო დერეფნებში ატარებენ, ამ დროს ევროპისკენ თავქუდმოგლეჯით გარბიან. არაფერი შეგეშალოთ, ემანდ, ქსანთან ფეხი არ დაგიცდეთ...“**

**თეა მოსია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## უბადლო მაის-ივნისი

**წლევანდელი მაის-ივნისი იმდენად ემოციური, მოვლენებით იმდენად დაყურსული იყო, რომ ლამის წლებს გაუტოლდეს.**

იმას არ ვამბობ, გადაულებელმა წვიმებმა ამერ-იმერი რომ ჩამორეცხა და აქამდე ხილად ალუჩის მეტი არაფერი გაგვასინჯა.

მთავარი ის იყო, კინაღამ რევოლუციამ რომ გადააყირავა ამჟამინდელი რეჟიმი.

ერთი 200-300 ათასი კაცით მეტი რომ მოსვლოდათ შეთქმულებს 25 მაისს პარლამენტის შენობის წინ და რუსეთში შედგენილ-გაწერილი ხელისუფლების დამხობის გეგმაც რომ არ დაემალათ მისაშველებლად ნიაღვარივით მივარდნილი ქართული პარტიის ლომგულებს, ხომ აუგებდნენ წერას ნაციონალებს!

არადა, სააკაშვილის რეჟიმმა უმალ ისარგებლა იმით, რომ სახალხო კრებას არც თავისი და არც ეროსის „რკინისგვერდიანები“, როგორც წინა დღეების მოვლენათა მსვლელობაც გვაკვალიანებდა, არ აჯაგრულა მიტინგის წარმმართველი რამდენიმე თავგადადებული კაცის (და ქალის) ირგვლივ და ისე შეუსია სპეცნაზი იმ თავსხმა წვიმაში გასაქცევად მოზორიალე ხალხს, დიდსა თუ პატარას; რამდენიმე მიასაკლავეს კიდეც. ღმერთმა გაანათლოს მათი სულები!

ამ დროს ჩვენმა მშობლიურმა ათასი ჯურის დასტა-დასტა პარტიებმა პირდაპირ მისაბაძი ერთსულოვნება და პრინციპულობა გამოიჩინეს და სულ ფეხებზე დაიკიდეს მოსახდენიც და შემდეგ მომხდარიც.

ქართული ოპოზიციის დანტონი, ყველაფრისმცოდნე გუბაზ სანიკიძე მისთვის ჩვეული ენამჭევრობითა და შეკრული შუბლით განმარტავს, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ რევოლუცია არ მოხდებოდა — ერთი თარიღის გამოცხადება რევოლუციისთვის, ორი კონკრეტული ოპოზიციის მიერ, რევოლუციას ვერ მოახდენდა. ეს იყო გარკვეული პროცესი, რომელიც ქართულმა პარტიამ და სახალხო კრებამ ერთმანეთის პირისპირ წამოიწყესო.

იცოდა ჭკვიანმა გუბაზმა და რა თქმა უნდა, ჭკვიანურად გადგა განზე. სხვათა შორის, მოულოდნელად ასეთივე ჭკუა გამოიჩინა მთელმა რვიანმაც და ორასივე „ჩემის თვრამეტიანმაც“. და ახლა პირდაპირ თავი წასჭამეს ტელემაყურებლებს, ხომ ნახეთ რა გონიერები ვართ, ავანტიურაში არ მივიღეთ მონაწილეობაო. იმას კი რატომღაც არ ამბობენ, რომ სწრედ მათი ერთობლივი ძალისხმევით შეიძლებოდა ხელკეტების ომის თავის არიდება.

რაც მთავარია, თავის არიდება შეიძლებოდა მოგვიანებითაც, მეგობარი და თანამოსაგრე ქართული პარტია რომ არ გადალობებოდა სახალხო კრებას, ამ ორი პოლიტიკური ორგანიზაციის გულმხურვალე ერთობისა ლამის ბოლო დრომდე სჯეროდა ბევრს. მაგრამ ვაგლახ, რომ მათი შეთანხმება არა და არ მოხდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნინო ბურჯანაძემ ვერაფერით ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე, რა გზით აპირებდა ქართული პარტიის ლიდერთ-ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში ჩამოსვლას, რის შესახებ ბლეფიც საგულდაგულოდ გაავრცელეს ხალხში ქართპარტიელებმა.

იყო ორად ორი ვარიანტი: თბილისის აეროპორტში ჩამოფრენა და ცხინვალის გავლით ჩამობრძანება. ცხინვალის ხაზი თავისთავად გულისხმობდა რუსულ თეთრ ცხენზე ამხედრებას და სამშობლოს ისე გაბედნიერებას. ჩვენ ოქრუაშვილის სამგზავრო თვითმფრინავის ბილეთიც კი წარმოვუდგინეთ (ვითომ მიუნხენიდან მოფრინავდაო), მაგრამ ნინომ მაინც 25 მაისს პარალელური მიტინგი დანიშნა და ფაქტობრივად ოქრუაშვილი, რომელიც არის „დემოკრატი, პატიოსანი, გულწრფელი ადამიანი“, ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადა. მან არა მხოლოდ პარალელური მიტინგი დანიშნა, არამედ ომი გამოგვიცხადა და გადატრიალების მომწყობებად დაგვსახა. ამიტომ თბილისში ჩამოყვანილი ათასობით ჩვენს აქტივისტს ვუთხარით, რომ ყველაფერი დამთავრდა და გავუშვითო — ნაწყენია ქართული პარტიის წევრი და სინდისი ეროსი კიწმარიშვილი, რომელიც, მოგეხსენებათ „25-ში იწყებდა და 25-შივე ამთავრებდა ამ რეჟიმს“.

ეს დარაზმული „ათასობით აქტივისტის“ მყოლი კიწმარიშვილ-სუზარი წინა დღეებში კახეთის რაიონებში და თბილისში, ამერიკის საელჩოსთან მოწყობილ მიტინგებზე ორი-სამი ასეული კაცი რომ რის ვაი-ვაგლახით შეაკოწიწეს, ახლა თავის გამართლებას ცდილობენ, რათა როგორმე თავიდან აიცილონ შეპირებული პოლიტიკური ჰარაკირი („თუ 25 მაისს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს ვერ დავამთავრებთ“...).

ერთი სიტყვით, დღეს ქართულ პარტიას მძიმე დღეები უდგას. იგი ნაკერებზე ირღვევა და დავიწყებისკენ მიექანება. ვინც დარჩა, მათ შორისაც არ არის თანხმობა. დეპუტატ თორთლაძისადმი მიწერილი წერილით თუ ვიხელმძღვანელებთ, საფრანგეთს ამირანივით მიჯაჭვული ირაკლი ოქრუაშვილი გაოცებულია, ირაკლი ოქრუაშვილისა და ეროსი კიწმარიშვილის გვერდით სოზარ სუბარს რა ესაქმება. იმ ადამიანების გვერდით, რომელთა დანაშაულებრივ ქმედებებზე წლიურ ანგარიშებს თავად ამზადებდა, როცა სახალხო დამცველი იყოო.

# იუდას ამბორი



ვის-ვის და გუშინ თუ გუშინწინ ჩადენილი საძრახისი საქმეებისთვის ირაკლი ოქრუაშვილისგან გაკილვა ნამდვილად არავის არ ეკუთვნის.

„ხოლო გამცემს (იუდას — **რედ.**) ნიშანი მიეცა მათთვის (მღვდელმთავართა და ფარისეველთა მსახურთათვის — **რედ.**) და ეთქვა: ვისაც მე ვეამბორები, ის არის, შეიპყარით იგი. და მსწრაფლ მიეახლა იესოს და უთხრა: გიხაროდეს, რაბი და ეამბორა მას.

ხოლო იესომ უთხრა მას: იუდა, მაშ ამბორით გასცემ კაცის ძეს?

ხოლო მათ ხელი სტაცეს და შეიპყრეს იგი“.

ეს ახალი აღთქმის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და პირქუში ეპიზოდია.

იუდას ამბორი გაცემის, დაცემის, ღალატის სინონიმია.

კოსტავას ქუჩაზე, საზოგადო მაუწყებელთან სახალხო კრების მიტინგზე 22 ივნისს ქართული პარტიის შემომატება და ლევან გაჩეჩილაძის მიერ მიტინგის დიასახლისის ნინო ბურჯანაძის გადაკოცნა, ნიშნად იმისა, რომ ყოველი ადრინდელი ურთიერთწყენა დავიწყებას მიეცა, სწორედ რომ იუდას ამბორი გამოდგა.

ოღონდ, იმ წუთას თვით ლევან გაჩეჩილაძე როდი ამბორყოფდა ნინოს, იმ წუთას ლევან გაჩეჩილაძე იუდას მიგზავნილი იყო მხოლოდ.

ხოლო იუდა იგი მრავალსახოვანი გახლდათ: კოლექტიურიც და პერსონალურიც იმავდროულად. კოლექტიური — ქართული პარტიის სახით და პერსონალური ამ პარტიის ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის სახით წარმოდგენილი.

სახალხო კრების საქმე მაშინ წახდა, როცა ქართულ პარტიასთან ერთად დააპირა თავისი ჩანაფიქრის აღსრულება. რასაც გარდუვალი განხეთქილება მოჰყვა და ორივე მხარემ ხანგრძლივად და საგულდაგულოდ ლანძღა ერთმანეთი.

ქართული პარტია დღიდან შობისა ეჭვსა და უნდობლობას აღძრავდა, განსაკუთრებით მისი ლიდერისა გამო. ირაკლი ოქრუაშვილი სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე პიტალო, ყველაზე ურჯუკი ვაზირი, რომელმაც პირდაპირ ვიაგრადალეულივით გიჟმაჟად მოირბინა ძალოვანი სამინისტროები. ერთ მომენტში შეთავსებით სირაჯთუხუცესიც კი იყო(!), რაკი ადამიანთა დაშინების, იძულების დიდი უნარი ჰქონდა. გულდაგულ ითარეშა და ამ თარეშის შემდეგ ოდენ უნტერ პრიშიბეევის ხეპრე სახელი დატოვა.

გვახსოვს მისი დაუფიქრებელი განცხადება-დაპირებები, საპირველიანვროდ ცხინვალში ხაზიზგინების შეჭმის, რუსეთში ღვინის ნაცვლად ფეკალური მასის შეტანის უტყუარი შესაძლებლობის შესახებ და სხვა ასეთი „მარგალიტები“, რომლებმაც მხოლოდ ავნეს ქვეყანას. ისიც გვახსოვს, სახელისუფლებო გუნდიდან დაპანღურების შემდეგ რა მრისხანედ ამხილა მან ყოფილი უფროსი და თანაგუნდელები. ისიც, პირველივე შეჯანჯღარების შემდეგ რა სულმოუთქმელად ალოკა გადაფურთხებული.

იმას ვინ ამბობს, თავი არ უნდა გადაერჩინაო. მაგრამ ან ის მუშტების ქნევა და სულის ამოფერთხვა რა იყო და ან ის ელვის უსწრაფესი მუხლებზე დავარდნა და მონანიება.

ყველაფერს თავი დავანებოთ, ის აღმატებული სახელმწიფო მოხელე, რამდენიმე ხნის წინათ ქარელთან სახელდახელო ბორდელებს რომ არბევდა და საკუთარი ხელით ითრევდა შიშველ მეძავებს ლოგინიდან, როგორ შეიძლება ყოფილიყო თავმოყვარე პარტიის ლიდერი და პროგრესის შემოქმედი?

ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ!

დღეს ეს კაცი ქვეყნის მიმართ აშკარად მტრულ განცხადებებს აკეთებს და ასე ცდილობს ზედაპირზე ტივტივს. თუმცა მთელი მისი ოდინდელი მოღვაწეობა ასეთი ტივტივა არ იყო?

ასეთი გახლდათ მაისი, მაგრამ ივნისი სულაც სასწაული გამოდგა თავისი „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერით, განსხვავებით პოლიტიკური მაისისა, ივნისი კულტურის თვალსაზრისით იყო ჯერ უნახავი და არსმენილი, რითაც გამოარჩევიან ისინი, საქართველოს ისტორიაში არსებული ყველა 3500-ვე ივნისიდან.

ეს იყო ყოფილი მზეთუნახავის შერონ სტოუნის ივნისი, ეს არის ჰოლივუდის ყოფილი ჯილას — შერონ სტოუნის წელიწადი, რომელმაც მოულოდნელად კვლავ გამოაჩინა მოცვეთილი „კბილები“ და ვნებისალმძვრელად წამოარტყა თავში ჩვენს საეჭვოდ აჭიხვინებულ პრეზიდენტს. და ეს ბედნიერება სამშობლოს აჩუქა დიდმა ბიზნესმენმა კოზა ნაყოფიამ, რომელიც, საცა სამართალია, ციხეში უნდა იჯდეს ამ საუკუნის 40-იანი წლების დამდეგამდე.

მაშ გაუმარჯოს დიდ კოზა ნაყოფიას, გაუმარჯოს ყოფილ შერონ სტოუნს.

**სანდრო ალექსიძე**

## საქართველო - ნატო

### ვიცეპრემიერ-მინისტრმა სოხუმის უნივერსიტეტში ნატოს კუთხე განაახლა

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნატოს კუთხე განახლდა. ნატო 1949 წლის 4 აპრილს დაარსდა და მასში უკვე 26 ქვეყანაა გაერთიანებული.**

თავისი ახალი სახის ძებნა ყოფილ იუგოსლავიაში დაიწყო, იქვე დაიწყო საქართველომ თავისი სამშვიდობო მოღვაწეობა 10 წლის განმავლობაში კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში 2259 ქართველმა სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა 1999 წელს. საქართველოს სტამბოლის სამიტზე მიაღწია პრინციპულ შეთანხმებას საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის შესახებ. იმავე 1999 წლის საქართველო გახდა ევროპის წევრი.

2005 წელს საქართველოს მთავრობისა და ნატოს მხარდაჭერით „საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ შეიქმნა.

ცენტრის მიზანია საქართველოს მოსახლეობას ალიანსში გაწევრების მნიშვნელობა განუმარტოს. 2003 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე საქართველომ და უკრაინამ ვერ მიიღეს MAP, ანუ გაწევრების სამოქმედო გეგმა, მაგრამ საბოლოო კომუნიკეში დაიწერა, რომ ქვეყნები ნატოს წევრები აუცილებლად გახდებოდნენ. გუშინ კი საქართველოს ვიცეპრემიერ-მინისტრმა გიორგი ბარამიძემ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნატოს კუთხე განაახლა. ღონისძიებას რუმინეთის ელჩი საქართველოში დან მიჰაი ბარლიბა და ნატოს საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი საქართველოში თენგიზ გოგოტიშვილი ესწრებოდა. კუთხის განახლების შემდეგ ვიცეპრემიერ-მინისტრმა სტუდენტებთან შეხვედრა გამართა, საუბრის მთავარი თემა „ნატოს ტრანსფორმაციის პროცესი“ იყო.

გიორგი ბარამიძემ აღნიშნა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. ბარამიძემ 2008 წლის აგვისტოს ომიც გაიხსენა, სადაც ნატოს მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

2008 წლის 15-16 სექტემბერს საქართველოს ნატოს გენერალური მდივანი და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) 26 წევრი ქვეყნის მუდმივი წარმომადგენელი (ელჩი) ეწვია. ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის პირველი სხდომა.

მოკავშირეთა ელჩებმა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

შეხვედრა საქართველოს სოხუმის უნივერსიტეტთან ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

ვიცეპრემიერ-მინისტრმა სტუდენტებს და დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, თუ რა აუცილებელი და საჭიროა ნატოში შესვლა.

ამჟამად საქართველოს ნატოში გაწევრება წარმოადგენს ქვეყნის მიზანს, რომელსაც მხარს უჭერს მოსახლეობის 77,5 პროცენტი, საქართველოს მოსახლეობა ნატოს განიხილავს, როგორც უსაფრთხოების უზრუნველმყოფელ ალიანსს. ამით საქართველო არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების უპრეცედენტო გარანტიებს მიიღებს, არამედ საკუთარ წვლილს შეიტანს ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების განმტკიცებაში, — ითქვა შეხვედრაზე.

**ირინა ოზოლაშვილი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ონლაინკონფერენცია

# უპასუხოდ დარჩენილი კითხვები,

## ანუ ისევ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“...

**რამდენიმე ხნის წინათ ქართველი პოლიტიკოსებისადმი საყვედური გავრცელდა (მგონი ინტერნეტგამოკითხვა იყო), სოციალურ ქსელებს არ იყენებენო.**

**საყვედური დედაქალაქის არჩეულმა მერმა მიიღო და ონლაინკონფერენციაც გამართა.**

**რადგან ეს იყო ინტერნეტონლაინ კონფერენცია, შესაბამისი გამოცდილება მქონდა და დარწმუნებულმა, რომ პასუხს მივიღებდი, რამდენიმე კითხვა ავტვირთე კედელზე.**

პირველი კითხვა იმ პრობლემით დავიწყე, რაც დილით სახლში დამხვდა — ქვიშიანი წყალი და ახალი ამბები სასიკვდილო ნაწლავური ინფექციის შესახებ. ამიტომ, უბრალოდ, რიგით მოქალაქეს მაინტერესებს, მემუქრება თუ არა მომაკვდინებელი ნაწლავური ინფექცია და ვინტერესდები, რატომ წყდება წყლის გადასახადის გაძვირების შემდეგ თემქაზე კვირაში სამჯერ წყალი (ძირითადად წვიმიანი ამინდის შემდეგძ და რატომ მოდის მეორე დილით წყალი ტალახიანი.

„ფეისბუქის“ კედელზე ასობით კითხვა დაგროვდა, მერს კი დრო მხოლოდ საათნახევარი აქვს... ამიტომ, პასუხები, თუ მართლა ონლაინკონფერენციაა, მოკლე უნდა იყოს.

გიგი უგულავას პირველი პასუხი, სწორედ წყლის პრობლემას შეეხო, მაგრამ — გრაფიკის შემცირებას, 2012-2014 წლებში ძველი გრაფიკების პრობლემის მოგვარებას, წყლის ზედმეტ ხარჯს და არაფერი თქვა ახლად შემოღებულ გრაფიკზე და ტალახიან წყალზე. ამიტომ, უფლებას ვიტოვებ, ხალხს მე თვითონ ვურჩიო, რომ სანამ მრიცხველს დააყენებენ, არ მოერიდონ ზედმეტ ხარჯს და ტალახიანი წყალი ონკანში მანამდე გაუშვან, ვიდრე დაიწმინდება.

ამასობაში ერთ-ერთი მკითხველის პოსტს ვკითხულობ — **„თამარ, მადლობა რომ წყალზე ჰკითხეთ, მაგრამ ამას ამბობს რამდენიმე წელია. თუ არაფერი გააკეთა, გასაკეთებელი ყოველთვის ბევრი იქნება!“**

შემდეგ იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის სუბსიდირების სირთულეზე საუბარი, რომ არ არის კარგი სახელმწიფოს მიერ სუბსიდირება. ნამდვილად, არ არის სწორი სუბსიდირება, მაგრამ ვინმე „გიორგი ბარსელონას“ აინტერესებს **„რატომ ხდება პოპმუსიკის დაფინანსება (წურწუმია, ზუმბა) მერიის ბიუჯეტიდან, ეს ხომ პოპმუსიკაა, არ ფინანსდება არსად მსოფლიოში (ჩინეთი, კუბა გამორიცხეთ), ეს იმ ფონზე, როცა ბევრი სოციალურად გაჭირვებულია, არ აპირებთ პრიორიტეტების გადახედვას ან მომღერლების დოტაციაზე ყოფნის შეწყვეტას?“,** — „გიორგი ბარსელონას“ სუბსიდირებული შოუბიზნესის კითხვა, ჩემს ტალახიან წყალს გადაჰყვა..

...საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხაზების გაორება არ უნდა ხდებოდეს, რომ 2013 წლიდან თბილისში ტრამვაის მშენებლობა დაიწყება.. აი აქ კი, ჩემი კითხვა გამახსენდა 2013 წლიდან გიგი უგულავას პოლიტიკური გეგმების შესახებ. ასე რომ, ეს კითხვა მთლად უპასუხოდ არ დარჩენილა — **„თქვენ ხშირად მოგიაზრებენ საპრეზიდენტო კანდიდატად. თქვენ გაქვთ შესაბამისი ამბიცია? რა პოლიტიკური გეგმები გაქვთ 2013 წლიდან?** — ვკითხულობდი მე.

შემდეგი ის თემაა, რასაც ყბადაღებულიც აღარ ჰქვია. უბრალოდ გზებია, რომ გაგვიკეთეს, რომ აიყარა, მერე ისევ გააკეთეს და **„კიდევ ბევრი რომ არის გასაკეთებელი“**. ქალაქში, მიწისქვეშ, მილებია გამოსაცვლელი, რომ ორჯერ ასფალტის დაგება სტანდარტია, თუ მილები არ გამოიცვალა, აზრი არ აქვს ასფალტის დაგებას. გზებმა ჩემი კიდევ ერთი კითხვა გამახსენა. კითხვა ასეთი იყო: **თქვენი ძვირადღირებული მანქანა რომ გამოიტანეთ გასაყიდად, რა ბედია ეწია? შედეგი რატომ აღარ დაპიარდა? ვინ იყიდა? ახლა რით დადიხართ სამსახურში? პირადი მანქანა არც თქვენ და არც თქვენს მეუღლეს, დეკლარაციის მიხედვით, არ უნდა გქონდეთ...** საინტერესო იქნებოდა მერის გულახდილობა.

შემდეგ ქალაქელები ავტოსადგომების მოწესრიგებით დაგვაიმედეს, ვერ მოვისმინე დიდი გულისყურით, არ მყავს მანქანა და ავტოპარკინგზე მეტად, დღეში ტრანსპორტის ოთხჯერ გამოცვლა უფრო მაწუხებს... მაგრამ ავტოპარკინგს ლოგიკურად მოსდევს კითხვა — რით გადაადგილდებიან მერი და მისი ოჯახი? — მაგრამ ისევ უშედეგოდ... ეგ კი არა, მერის ოჯახის შემოსავლები მაინტერესებდა, **ხელფასის გარდა თუ აქვთ რამე** და მერე ეს კითხვა ველარ ვიპოვე. ვერც ჩემი მეგობრის კითხვა ვიპოვე იმასთან დაკავშირდებით, **თუ რა დაუჯდა მერის ოჯახს ბათუმის „შერატონში“**(არ ვიცით რამდენი დღითძ გაჩერება, ასე, მაისის ბოლოს....

მაგრამ, უფრო საინტერესო პასუხი მოვისმინე... — **„შრომის კოდექსი“ ჯერ არ შეიცვლება, რადგან დამსაქმებლებს უნდა შევუქმნათ მაქსიმალური პირობები, მაგრამ 10-15 წლის შემდეგ, უმუშევრობა რომ პრობლემა აღარ იქნება, მერე... შეიძლება...** აქ მიხეილ სააკაშვილის ანალოგიური ფორმატით ხალხთან დიალოგი გამახსენდა, რა ამბავი ავტეხეთ, პრეზიდენტი რიგი პრობლემების მოგვარებას 2015 წლისთვის რომ დაგვპირდა, ...ატეხეს ერთი ამბავი მოქალაქეებმაც, სააკაშვილი 2015 წლამდე წასვლას არ აპირებსო. ახლა კი დედაქალაქის მერი უმუშევრობის გადაჭრას 10-15 წლის მერე გვპირდება — **„სანამ ჩვენ დიდად ვართ დამოკიდებული პირდაპირ ინვესტიციაზე, ვალდებულნი ვართ, მაქსიმალურად დავიცვათ და კომფორტი შევუქმნათ დამქირავებელს. 10 წლის მერე, 15 წლის მერე, როცა უმუშევრობის ასეთი მაღალი დონე აღარ იქნება საქართველოში, მერე ბუნებრივად დადგება საკითხი ხელფასის მომატების და დასაქმებულის მეტი დაცვის. დღეს შეგვიძლია მივიღოთ კანონი, მაგრამ დასაცავი აღარ გვეყოლება“,** — ამბობს დედაქალაქის მერი. კარგი თემაა.. ისევ სოციალური ქსელებისთვის და ფორუმებისთვის, ...თორემ პოლიტიკოსებისთვის უმუშევრობა საქართველოში დიდი ხანია, დაძლეულია და მისი მაჩვენებელი დღითი დღე მცირდება..

უმუშევრობიდან კი ქალაქის დაგვა-დასუფთავების პრობლემაზე გადავედით. აქ ჯდება ლოგიკაში ჩემი ერთი უწყინარი კითხვა — **ბატონო გიგი, პარლამენტმა ახლახან მიიღო საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ქალაქის თვითმმართველობის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია დააჯარიმოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ქალაქის დანაგვიანებისთვის და შესაბამისი წესების დარღვევისთვის. რა იგეგმება ამ მხრივ მერიაში? ახალი სამსახური შეიქმნება თუ ეს უფლებამოსილებები რომელიმე „ძველს“ დაეკისრება?** ეს ალბათ ბევრს აინტერესებს, მაგრამ ამ საკითხზე საუბრისას მერმა კითხვას არ უპასუხა, მაგრამ თავად იკითხა — **„სად წავიდნენ ტარაკნები“?**

საათს შევხედე და მალე ამოიწურება საათნახევარი... აღარ მაქვს ჩემს კითხვებზე პასუხის მოსმენის იმედი და ფიქრს ტარაკნებზე ვიწყებ...

შეჩერებული მშენებლობები კარგი თემაა — პროგრამა, ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე მომგებიანი პროექტია და, რა თქმა უნდა, მასზე საუბარიც. ეკონომიკურმა კრიზისმა მთელს მსოფლიოში დაარტყა მშენებლობებს, მათ შორის — საქართველოში. მიტოვებული შენობები ეკონომიკური დეპრესიის პირველი შედეგია ხოლმე... ვხვდები, ვერაფერი ნუგეშია ეს მარიამ ჩიმიკაძისთვის, რომელიც წერს, **„მოგესალმებით ემიგრანტების სახელით ამერიკიდან. გთხოვთ, გაგვცეთ პასუხი „ცენტრპოინტის“ საქმესათან დაკავშირებით — იღებთ თუ არა პასუხისმგებლობას შექმნილ ვითარებაზე — დაზარალებულია 6200 ქართული ოჯახი!“**. შემდეგ მარიამი ისევ მეორდება და — **„დაგვაბრუნეთ საქართველოში“!..**

მედიისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდება (ალბათ უფრო გახსნილად და დაუგვიანებლადძ და მოქალაქეებთან მეტი კონტაქტი — ეს ის შენიშვნებია, რაც მერისთვის მისაღებია. **„მე ამ კრიტიკას მივიღებ, რადგან ჯანსაღია. ნებისმიერ პოლიტიკოსს უკეთებს წნეხს, რომ ფხიზლად და აქტიურად იყოს. იგივე სოციალური ქსელები ამისი კარგი საშუალებაა“,** — ამბობს გიგი უგულავა და ვფიქრობ, კარგი დასაწყისია — მოსახლეობასთან მეტი კონტაქტი, ამდენი გვერდი სოციალურ ქსელში, კიდევ ერთხელ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“ და ნამდვილად კარგი დასაწყისია საარჩევნო კამპანიისთვის.

**თუ ეს დასაწყისია, მაშინ მსგავსი კონფერენცია კიდევ იქნება და მაშინ კი დავსვამ კითხვას, თუ სად წავიდნენ ქალაქიდან ტარაკნები.**

არა, არ მინდა უპასუხოდ დარჩეს 26 მაისის მოვლენები: **„26 მაისის აქციაზე და მის შემდგომ მოვლენებზე დღემდე არაფერი გითქვამთ... როგორ შეაფასებთ „აქციის დაშლას“?** — ვიკითხე.

„რა კეთილდღეობაზე და სამომავლო პროექტებით შემოიფარგლებით, ეს ისედაც უნდა აკეთოთ, დღეს თბილისის 26 მაისის სისხლიანი დღის მერე არ გაქვთ უფლება, რამე სიკეთეზე გვესაუბროთ, გარდა ამ თემისა. როდის დაიწყება საერთაშორისო მიუკერძოებელი გამოძიება?“, „როგორია თქვენი აზრი 26 მაისის ღამესთან და დილასთან დაკავშირებით?!“, „როგორ შეაფასებთ მაისის მოვლენებს? დახოცილ ხალხზე პასუხისმგებლობა ვის ეკისრება, რომლებსაც ვითომ „დენმა“ რომ დაარტყა, კვინტრაძის მკვლელობაზე პასუხს ვინ იღებს? კიდევ, რატომ არ იჭერთ ბურჯანაძეს?“ — იკითხეს და მერმაც უპასუხა:

**„იყო მთელ რიგ შემთხვევებში ძალის გადამეტება. როცა სამართალდამცველებმა დაშლის გადაწყვეტილება მიიღეს, ეს იყო ლეგიტიმური. მაგრამ შემდეგ მოხდა ავადსახსენებელი მომენტი, როცა მანქანების კოლონა შევარდა და 10 პოლიციელი წაიქცა. მაშინვე გავრცელდა ერთმანეთში ინფორმაცია, რომ მასობრივად დაიღუპნენ პოლიციელები. მთელ მსოფლიოში ასეა, რომ პოლიცია ყველაზე მძიმედ რეაგირებს პოლიციელის გარდაცვალებაზე. ძალის გადამეტების შემთხვევებიც, დაახლოებით 5-7 წუთი, სწორედ ამით იყო განპირობებული. შემდეგ მინისტრის ჩარევა გახდა საჭირო, რათა ეს ემოციური მუხტი გაჩერებულიყო“.**

მერი ფიქრობს, რომ სამწუხაროდ, როგორც წესი, როცა ურემი გადატრიალდება, გზა მერე გამოჩნდება-ხოლმე და თუ ამ მოვლენებზე კომისია შეიქმნება, უგულავას მიაჩნია, რომ პირველ რიგში ის უნდა შეფასდეს, თუ რა იყო დაგეგმილი და რა ვერ შესრულდა. ვერ შესრულდა „სახელმწიფო გადატრიალების კლასიკური მცდელობა“ და მოიშველია მარკესი: „ეს იყო გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა ან არშემდგარი სიკვდილის ქრონიკა“ და მაინც, ყველაფერი „ადამიანის ცხოვრებით ჟონგლიორობა იყო და მეტი არაფერი“.

კონფერენცია დასრულდა... ვერც პირდაპირი და ვერც ირიბი პასუხები ვერ მივილე კითხვებზე — **„2003 წლამდე „ნაციონალური მოძრაობა“ წყნეთში ტყეების გაჩეხვას ებრძოდა და ამისთვის მეფარიძე დააკავეს კიდეც. თუმცა, წყნეთის ტყე ახლაც იჩეხება და შენდება სახლები. მერია არ იღებს პასუხისმგებლობას წყნეთის ტყეების ჩეხვაზე??“ „რატომ დაედო „გრიფით საიდუმლო“ კონტროლის პალატის მასალებს, რომელიც 2004—2005 წლებში კეთილმოწყობის სამსახურის საქმიანობის შესწავლას ეხება? მაშინ ამ სამსახურს კობა სუბელიანი ხელმძღვანელობდა. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ მაშინდელ ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით? რატომ არ ისჯება ვინმე?“ „კომპანია „აუთდორჯი“ ვის ეკუთვნის და ხომ არ თვლით მას მონოპოლისტად?“, „არ მიგაჩნიათ სტრატეგიულ შეცდომად, როცა ქალაქის მერი საკუთარი ქალაქის ექიმებს არ ენდობა და მისი მეუღლე, რა თქმა უნდა, ხელფასიდან დანაზოგის შედეგად, საზღვარგარეთ მშობიარობს?“ „რა დაჯდა გმირთა მოედანზე მრგვალი ბურთის და რიყეზე რაღაც საოცრება ატრაქციონის დემონტაჟი და რატომ გაქვთ ეს ინფორმაცია „სახელმწიფო საიდუმლოებაში“ მოთავსებული?“ „თქვენი არჩევნების შემდეგ, რატომ შეწყდა თითქმის ყველა სოციალური პროგრამა მერიაში წლის ბოლომდე?“**

მაგრამ, საარჩევნო კამპანია დაიწყო და იმედი მაქვს, პასუხებს მოვისმენ, იმედი მაქვს, გავიგებ სად წავიდნენ ტარაკნები და იმედი მაქვს, რომ მერის პროგნოზი, უმუშევრობის 10-15 წელში დაძლევისა, გაცრუვდება.

**არაფერი უხდება ქართულ პოლიტიკას ამ ბოლო დროს, როგორც მარკესი — თითქოს მარკესმა „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკები“, სწორედ ხელისუფლებისთვის, ოპოზიციის დასაკომენტარებლად დაწერა.... მაგრამ, პასუხგაუცემელ კითხვებთან ერთად, ისევ მარკესი ფიქრობდა, რომ დემოკრატია ლობიოობა არ არის, თუმცა კი ჰგონიათ-ხოლმე.**

**დარეჯან პაატაშვილი,**
„ინტერპრესნიუსი“



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

**სოლიდარობა**

# ვის შუპოვია ზვინში ნემსი, ჩვენ რომ ვიპოვოთ?

## ანუ როდესაც სიმართლე-სამართალი კვლავ ძალის მხარესაა

**დიდი ხანია, ჩვენში სამართლიანობის პოვნისთვის გარჯა თივის ზვინში ნემსის ძებნას დაემსგავსა. სამართლიანობა და სიმართლე ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ცნებებად იქცა. ბევრს საკუთარი „სწორი“ სიმართლე აქვს, თან ყველა კანონს იმოწმებს... ფაქტობრივად კი სამართალი და სიმართლე იქაა, სადაც ძალა გადასწონის.**

ბევრმა კიდევ ყველა დემოკრატიული გზა განვლო, მაგრამ სიმართლე-სამართლიანობას მაინც და ვერ მიაღწია და იძულებული გახდა, პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის — შიმშილობისთვის, პირის ამოკერვისთვის მიემართა. ახლაც ასეა, სამწუხაროდ.

მსახიობმა სოსო ჯაჭვლიანმა ციხეში შიმშილობა 26 მაისის ღამეს დატრიალებული ტრაგედიისადმი პროტესტის ნიშნად დაიწყო.

11 ივნისს, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა სოსო ჯაჭვლიანისადმი მხარდასაჭერი ბრიფინგი გამართა.

სოსო მომიტინგეთა დარბევისას დააპატიმრეს „პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის“ ბრალდებით. თუმცა, თვითმხილველთა განცხადებით, მას არც აგრესია გამოუვლენია და არც პოლიციისთვის გაუწევია რაიმე წინააღმდეგობა.



— როცა დარბევა დაიწყო მე, სოსო, დიმა ჯაიანი და სხვები ერთად ვიდექით. წავიქეცი, სოსო დამეხმარა წამოდგომაში. რეზინის ტყვიის მოხვედრა არც კი მიგრძვნია. არც დაკავებისას და არც მას შემდეგ წინააღმდეგობა არ გაუწევია. ერთმანეთს მხოლოდ სამმართველოში მისი გადაყვანის დროს დავშორდით. ხოლო შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი, — აცხადებს გოგი ქავთარაძე.

სოსო ჯაჭვლიანი ამჟამად მცხეთის დროებითი პატიმრობის იზოლატორში ჰყავთ. როგორც ცნობილია, პროტესტის ნიშნად იგი დაკავების დღიდან შიმშილობს. ჯანმრთელობის გაუარესების გამო ბ-ნი სოსო ერთი დღით რესპუბლიკურ საავადმყოფოში იყო გადაყვანილი. მისი მდგომარეობა ამჯერადაც მძიმეა და ექიმის მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებს.

თინა ქურდოვანიძემ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა, რამდენჯერმე მოინახულა მსახიობი — დაკავებულის სასამართლო 26 მაისს დილით ადრე ჩატარდა, რის თაობაზეც ადვოკატმა არაფერი არ იცოდა, და ვერც პროცესს დაესწრო...

— 9 ივნისს, კანონით მინიჭებული უფლების საფუძველზე, შუამდგომლობით მივმართეთ სასამართლოს, რომ ბრალდებული გადაიყვანონ სამედიცინო დაწესებულებაში ან ადგილზე დაეხმაროს ოჯახის მიერ არჩეული ექიმი. თუმცა რაიმე სახის პასუხი ჯერ არ მიგვიღია, — აცხადებს იურისტი.

სოსო ჯაჭვლიანის ჯანმრთელობის მდგომარეობით შეშფოთებულმა კინემატოგრაფისტებმა სთხოვეს მას — მსახიობს, რეჟისორს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს მკვლაჭიძეში — შეეწყვიტა შიმშილობა...

„აქვე მივმართავთ სასამართლო ხელისუფლებას, საქმის განხილვისას გაითვალისწინონ ქვეყნის წინაშე სოსო ჯაჭვლიანის შემოქმედებითი და სპორტული დამსახურება“, — აცხადებს საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი.

...როგორც ჩანს, ჯაჭვლიანი შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს, რადგან იგი არც სასულიერო პირთა თხოვნამოწოდებას არ დაეთანხმა და კვლავაც განაგრძობს რუსთაველზე დატრიალებული უბედურების — ამ მძიმე ფორმით გაპროტესტებას, რაც შეიძლება ფატალურად დასრულდეს...

ამიტომ აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში შეკრებილმა საზოგადოებამ მიმართა ყველას, ვისაც ხელეწიფება ამის გაკეთება — სასამართლო ხელისუფლებას თუ დროებითი პატიმრობის იზოლატორის ადმინისტრაციას — გადაიყვანონ იგი სამედიცინო დაწესებულებაში ან ადგილზე გაუწიონ სამედიცინო დახმარება...

სოსო ჯაჭვლიანის კოლეგებისთვის აბსოლუტურად გაუგებარია წაყენებული ბრალდების საფუძველზე მისი დაკავება და ამიტომაც მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობას ამ საქმეში ჩართულ სამართალდამცავებს აკისრებენ.

**გულნაზ გახარია**

**საგადასახადო ტერორი**

# გამოჭერაზე ორიენტირებული შემოსავლები

## მეწარმეებს ამჯერად კერძო ინსპექტორებს მიუქსევენ

**აქაოდა საქართველო მსოფლიოში პირველ რეფორმატორ ქვეყნად გვაღიარესო, რითაც პრეზიდენტი სააკაშვილი მოსწავლეთა „პატრიოტულ ბანაკებში“ გამოსვლისასაც კი დაუსრულებლად ამაყობს, ხელისუფლება მიღწეული შედეგით არ კმაყოფილდება და სარეფორმატორო მოღვაწეობას ახალ-ახალი ექსპერიმენტებით „ამდიდრებს“. ამის დასტურია საგადასახადო შემოსავლების სამსახურის ხაზით კერძო ინსპექტორების ინსტიტუტის დანერგვის ინიციატივა, რაც ხელისუფლების მიერ, მეწარმეთა საქმიანობის კონტროლში საზოგადოების ჩართვის მოტივით, კარგად შეფუთულ ნოვაციად საღდება. აბა როგორ, ეს ყველაფერი თუ მთავრობის შემოქმედებითი ნიჭიერების ნიმუშად არ შერაცხეს, პირდაპირ ხომ არ მოგვახლიან პირში — კერძო ინსპექტორები მეწარმეთა ინტერესების დაცვაზე არა, მათ გამოჭერაზე იქნებიან ორიენტირებულიო?!**

მეწარმეებს, რომლებიც კარგად იცნობენ საკუთარი მთავრობის ორპირობას და ფლიდობას, რა თქმა უნდა, არ გამოეპარათ ხელისუფალთა „ახალი ინიციატივის“ რეალური წინასწარგანზრახულობა და ისედაც კურდღლებივით შეშინებულებმა, აღარ იციან თავები რომელ ჩირგვში შერგონ, რომელ მოახლოებულ „ტორნადოს“ როგორმე უმტკივნეულოდ დაუძვრნენ. მაგრამ, არა მგონია, ეს გამოუვიდეთ, რადგან „ინიციატივა“ კერძო ინსპექტორების თვითდაფინანსებას გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სახელმწიფოსგან ანაზღაურებას ვერ მიიღებენ და მთლიანად იქნებიან დამოკიდებული დარღვევების აღმოჩენით მოპოვებულ წყალობაზე. მოტივი მარტივი და დამაინტრიგებელია: რაც უფრო მეტ დარღვევას აღმოაჩენ და მეტ თანხას შეიტან ხაზინაში, მით უფრო მეტ ანაზღაურებას მიიღებ! ეს იმას ჰგავს, მგელი ცხვრის ფარაში შეაგდო და თან მიაძახო, — მიდი, რაც შეიძლება მეტი დაგლიჯე, თორემ მაქედან შენ წილად ჩლიქებიც აღარ დარჩებაო...

ვთხოვ, ნუ გამინაწყენდებიან ასეთი შედარებისთვის ისინი, ვისაც მომავალში კერძო ინსპექტორად მოუწევს მუშაობა. კაცი, რომელიც წლების მანძილზე უმუშევარი იყო, ახლა კი იშოვა საქმე, მაგრამ მისი ანაზღაურება დამოკიდებული იქნება გამოვლენილი დარღვევებისა და ჯარიმების რაოდენობაზე, არ არის გასაკვირი, მეტი გამორჩენის მიზნით, ბიზნესმენსა თუ მეწარმეს ჩაუსაფრდეს, როგორმე აცდუნოს, რომ დარღვევაში გამოიჭიროს. ასევე ფიქრობს „მრეწველთა“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე, რომელიც აცხადებს, რომ თვითდაფინანსებაზე მომუშავე „კერძო ინსპექტორი“ ყოველთვის მოტივირებული იქნება, რაც შეიძლება ბევრი დარღვევა გამოავლინოს, მას აქვს უფლება, აწარმოოს საკონტროლო შესყიდვები, აცდუნოს გადასახადის გადამხდელი, რომ ქვითრის ამორტყმისას მცირე რაოდენობის თანხა დააფიქსიროს. ასეთი რამ ადრეც ხდებოდა. პირადად მე ვარ მოწმე, როდესაც გამყიდველმა ქვითარი ამოარტყა, მყიდველმა (ინსპექტორმაძ ის არ აიღო, მერე მაღაზიაში ისევ შემობრუნდა და გამყიდველს უთხრა, რომ მისთვის ქვითარი არ მიუცია. ხელისუფლება ამბობდა, რომ თუ მეწარმეს შეცდომა არა შეგნებულად, არამედ უნებლიედ მოუვიდა, იგი უნდა ეპატიოს, ახალი ინიციატივით კი არ არის გამორიცხული, რომ კერძო ინსპექტორებმა გადასახადის გადამხდელის პროვოცირებაც მოახდინონ. ამ ინიციატივით შემოსავლების სამსახური ჩასაფრების პოლიტიკის ლეგიტიმაციას ახდენს“.

ჰოდა, თუ ეს ხდებოდა ადრე, როცა საგადასახადო ინსპექტორი გარანტირებულ ხელფასს იღებდა, ვინ დაუდგება თავდებად კერძო ინსპექტორს, რომ ის მეწარმის გამოჭერასა და საკუთარი ჯიბის გასქელებაზე არ წავა? გაუგებარია, რატომ დასჭირდათ საგადასახადო სამსახურის საქმიანობაში კერძო პირების ჩართვა, ვითომ საგადასახადოელები ისე იყვნენ გადატვირთული, რომ საკუთარი ფუნქციების შესრულება უჭირდათ? არაო, მაგრამ მეწარმეთა და ბიზნესმენთა შემოწმებაში საზოგადოების ჩართვა გვინდოდაო, — თავს იმართლებენ ხელისუფალნი. კერძო საგადასახადო ინსპექტორის ინსტიტუტის შემოღება ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, მეწარმის გაკონტროლებას და, მეორე მხრივ, დასაქმების პრობლემის მოგვარებასო. აქედან გამომდინარე შეიცვლება საგადასახადო პრევენციის



დეპარტამენტის მუშაკთა ფუნქციები. მათი ძირითადი მოღვაწეობა აწი დარღვევების პრევენცია, მეწარმის გაფრთხილება და საგანმანათლებლო სამუშაოები იქნება, კონტროლის ნაწილში კი მათ კერძო ისპექტორები ჩაენაცვლებიან.

ხედავთ, რა „გონივრულად“ გადაინაწილეს ფუნქციები? დარღვევების პრევენციაზე საგადასახადო სამსახურის ოფიცრები იმუშავებენ, ისინი ბიზნესმენებსა და მეწარმეებს გააფრთხილებენ, კანონების ცოდნით გაანათლებენ, აი დარღვევების გამოსავლენად და დასაჯარიმებლად კი კერძო ინსპექტორებს მიუქსევენ. მოდი და ამის შემდეგ მათ გასამტყუნებლად ენა კიდევ მოგიტრიალდეს. მაგრამ ამ მეწარმეებს რომ ვერაფერს დაანახვებ?

— დაგვანებონ თავი, ერთი წუთით მაინც ამოგვასუნთქონ თავისუფლად, — მეუბნება მეწარმე თენგიზ იაშვილი, — თავბედი გვაწყევლინა, გამოგვალენჩა ამდენმა ექსპერიმენტებმა, რომლებმაც საგადასახადო კოდექსი გამარტივების მაგივრად კიდევ უფრო გაართულეს და დაამძიმეს. აღარ უნდა მორჩნენ ამდენ გამოგონებებსა და „ინიციატივებს“, მეწარმეთა თავზე ქვის კოდვას? მახსოვს ერთხელ ჩვენს საწამებლად და გამოსაჭერად როგორ გამოიგონეს ეგრეთ წოდებული საგადასახადო ჟურნალი, რომლის შევსებასაც გვავალდებულებდნენ. მოდიოდნენ საგადასახადო სამსახურიდან და სისტემატურად გვამოწმებდნენ, ჟურნალი სწორედ იყო თუ არა შევსებული, თუ შეცდომას აღმოაჩენდნენ, ვაი ჩვენი ტყავის ბრალი. ამ ჟურნალის წყალობით იმ პერიოდში დედაქალაქის მეწარმეთა ნახევარი დაიჭირეს ან ობიექტი დაუხურეს.

**— და თქვენ ფიქრობთ, რომ „ახალი გამოგონებაც“, რაც საგადასახადო შემოწმებებში კერძო ინსპექტორების ჩართვას გულისხმობს, სამუშაო პირობებს კიდევ უფრო დაგიმძიმებთ და გამოუვალ პრობლემებს შეგიქმნით?**

— რა თქმა უნდა, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, სიკეთეს არც იმ „სიახლისგან“ უნდა ველოდეთ. ეს სისულელე, რომელსაც რატომღაც „პილოტური პროგრამა“ შეარქვეს (ალბათ, იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ გააფრინესძ, სხვა არაფერია, თუ არა ბიზნესმენთა და მეწარმეთა დაშინება-დატერორების მორიგი მცდელობა. უფრო გახსნილად თუ ვიტყვით, ამ პროგრამაში ჩადებულია მეწარმეთა მორიგი გატყავებისა და კორუფციის დანერგვის (კორუფცია ვითომ მოსპეს და ახლა ისევ აღდგენას უპირებენ!ძ ზრახვები.

იხ. 7 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პერსპექტივა

# იარეთ სავაჭროდ და... იჯანმრთელეთ

*ამ ბოლო დროს უამრავი სიტყვა გაჩნდა, თუ შეიძლება ითქვას, „მსოფლიო ლექსიკაში", რომელიც ყველა ენაზე ერთნაირად ჟღერს და, რაც მთავარია, ყველას ერთნაირად ესმის. მაგალითად, ტელევიზორი, ტელეფონი, კომპიუტერი, ინტერნეტი და ა.შ. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა „შოპინგი", რომელიც, ზოგადად, საყიდლებზე წასვლას, მაღაზიებში გასეირნებას ნიშნავს. ამასთან, ფსიქოლოგთა და ფიზიოლოგთა დაკვირვებით, თავად მაღაზიებში სიარული, თურმე... სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, რადგან ამ დროს მრავალ ახალ ადამიანთან გვიწევს ურთიერთობა , თან ფეხით სიარული ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა...*

*მეცნიერები კიდევ ერთ დასკვნას აკეთებენ — ისინი, ვინც სავაჭროდ ბევრს დადის, გარდა ზომიერი ფიზიკური დატვირთვისა, ასევე ზომიერ გონებრივ და, ასე განსაჯეთ, ესთეტიკურ მუხტსაც იღებს.*



ეს ვრცელი შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ ახლო მომავალში უკვე აშკარად დამშვენებულ თბილისს ცოტა ხანში კიდევ ერთი ლამაზი, წმინდა წყლის სავაჭრო გარეუბანი ლილო შეემატება. პროექტის ხარჯთაღრიცხვით, მისი მშენებლობა, სადღეისო კურსით დაახლოებით 66 მილიონი ლარი (40 მილიონი დოლარიძ დაჯდება, ხოლო რაც შეეხება თავად არქიტექტურულ მხარეს, რომელიც იქ ამჟამად თითქმის ყველა ძველი ნაგებობის ადგილზე ახლის აშენებას ითვალისწინებს, მას „პატარა ქალაქის" იერსახე ექნება. გეგმით აქ, მაღაზიებთან, სუპერმარკეტებთან ერთად კაფე-რესტორნები, კინოთეატრები, საგამოფენო დარბაზი, მოედნები და დასასვენებელი ადგილები გაშენდება, გათვალისწინებულია ადგილობრივად გადაადგილების გასაქირავებელი საშუალებებიც.

ყველამ კარგად ვიცით, რომ 20 წლის წინათ გაშენებული ლილოს ბაზრობა დედაქალაქში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადგილი იყო, სადაც ყველა სახეობის საქონელი — სასურსათოც, სამრეწველოც, საყოფაცხოვრებოც, უპირველესად სიიაფით იყო მოსაწონი. ლილოს ბაზრობის კიდევ ერთი ხიბლი ის გახლავთ, რომ იქ, ისევე, როგორც რამდენიმე წლის წინათ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სოფელ ერგნეთის ბაზრობაზე, მთელი სამხრეთ კავკასიიდან მიდიოდა ხალხი, ზოგი კი, სულაც, ჩრდილოეთიდანაც აკითხავდა იქაურობას... მერე ერგნეთის ბაზრობა, ცნობილ მიზეზთა გამო, „მოიშალა" და მისი ადგილი, მართალია, ნაწილობრივ, ლილოს ბაზრობამ ჩაანაცვლა, სადაც, ხალხი სავაჭროდ სომხეთიდანაც ჩამოდის და აზერბაიჯანიდანაც. როგორც ერთიანად კავკასია, ისევე ჭრელია, ცხადია, აქაურ მოვაჭრეთა პალიტრა — ხშირად გეგონებათ, მთელმა კავკასიამ აქ მოიყარა თავიო... მეტიც — ბოლო დროს აქაური გზა მშვენივრად ისწავლეს ჩვენში ასე მომრავლებულმა არაბებმა, ირანელებმა, ჩინელებმა, ინდოელებმა და ქართულადაც მშვენივრად „აწარმოებენ" ვაჭრობას.

მოკლედ, „ძველი ლილოს" მომავალი, დღევანდელი გადასახედიდან, ერთობ პერსპექტიული ჩანს, ხოლო სახელად მას უკვე „ლილო მოლი" ერქმევა, რაც, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „ლილოს სასეირნო ადგილს" ნიშნავს.

თუ რამდენად „სასეირნო" და „საგულაო" იქნება „ლილო მოლი", რამდენად იხეირებენ იქ მოვაჭრენი (რაც, უწინარესად, სავაჭრო ადგილების გაქირავების ფასებზე იქნება დამოკიდებულიძ და რამდენად ნასიამოვნები იქნებიან იქ მისულნი, ამას მომავალი გვაჩვენებს. ახალ მშენებლობებთან ერთად, ლილოს ბაზრობის ნაწილი ჯერჯერობით მუშაობს, მთლიანად კი „ლილო მოლი" 22 ჰექტარზე იქნება გაშლილი.

**ოთარ ტურაბელიძე**

ვითარება

# სიკვდილის მიზეზია კიტრი

**უცნაური ნაწლავური ინფექციის შესახებ გერმანიაში ორი კვირის წინათ გახდა ცნობილი. სადღეისოდ რეგისტრირებულია 1200-ზე მეტი შემთხვევა უმძიმესი სიმპტომებით, მათ შორის სისხლიანი დიარეით.** ამასთან, ავადმყოფობა გართულებას თირკმელზეც იძლევა. ბოლო დღეებში სნეულება გერმანიის მეზობელ ქვეყნებშიც გავრცელდა. ინფექციის წყაროდ ჯერჯერობით გერმანიაში ესპანეთიდან შეტანილ კიტრს მიიჩნევენ, რომელიც, როგორც ჩანს, ენტეროგემორაგიული ნაწლავური ჩხირის მატარებელია, რაც უკვე 12 კაცის სიკვდილის მიზეზი გახდა. ანალოგიური ეჭვი აქვთ ჰოლანდიურ ბოსტნეულზეც. საკვებად უვარგისი კიტრის პარტიის მოხსნა რამდენიმე დღის წინათ ჩეხეთში მოასწრეს.

ევროპის უკვე მრავალი ქვეყნის მთავრობა მოსახლეობას ურჩევს თავი შეიკავონ გერმანიიდან, ჰოლანდიიდან და ესპანეთიდან შეტანილი ბოსტნეულის, განსაკუთრებით კი უმი სახით მოხმარებისგან.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერები, კერძოდ, ბიოლოგები მზად არიან ევროპელ კოლეგებთან ერთად სასწრაფოდ დაიწყონ მუშაობა აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. დაავადებული პროდუქციის ნიმუშები უკვე გამოგზავნილია საქართველოში და შესაბამისი მუშაობაც დაწყებულია. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ბოსტნეულს, კერძოდ კიტრსა და ზოგიერთ სხვას, დაუკონსერვებელი სახით საქართველოში არც ესპანეთიდან, არც გერმანიიდან, არც ჰოლანდიიდან არ ღებულობენ. ამდენად ამ მხრივ ჩვენი მომხმარებლისთვის რაიმე საშიშროება არ არსებობს.

**ირმა ირემაშვილი**

ინფორმაცია



## თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე უკანონოდ გადადიოდნენ

**ამის შესახებ ჟურნალისტებს ინფორმაცია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ მიაწოდა.**

**— ოთხი მოქალაქე სასამართლო პროცესის შემდეგ გაათავისუფლეს, კიდევ რამდენიმეს მიმართ კი ადმინისტრაციული განხილვა მიმდინარეობს. რამდენიმე მოქალაქის შემთხვევაში დეპორტაციის გადაწყვეტილება უკვე მიიღეს. უცნობია, ზუსტად რამდენ ადამიანზეა საუბარი და ვინ არიან ისინი. — განაცხადა კალანდაძემ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე.**

ХИ-ЕИВ-ЕНИ

წარდგენა



# ქართული ღვინო ბარიშნიკოვთან ერთად

**ნიუ-იორკში „ბარიშნიკოვის სახელოვნებო ცენტრში" ამერიკის სავაჭრო პალატამ და USAID-ის ეკონომიკური კეთილდღეობის ინიციატივამ ქართულ ღვინოსა და მის ახლანდელ და მომავალ დამგემოვნებლებს უმასპინძლა.**

ღვინის რამდენიმე საათიანი ფესტივალის მოწყობაში ასევე მონაწილეობდნენ ორგანიზაციები: „საქართველოს ამერიკელი მეგობრები", „ქართული ღვინის ასოციაცია", „ქართული ღვინის სახლი" და CORUS Imports. თავისი ბრენდები საქართველოში ღვინის მწარმოებელთა 15-მდე კომპანიამ წარადგინა. მათ შორის „ბაგრატიონმა", „სარაჯიშვილმა" „თბილღვინომ", „თელიანის ველმა", „თელავი მარანმა", „ხოხბის ცრემლებმა", „ალავერდის მონასტერმა", „კახურმა" და სხვებმა. „წინანდალი", „მუკუზანი", „საფერავი", „ხვანჭკარა", „რქაწითელი, „ქინძმარაული", „გურული მწვანე"... პრეზენტაციაზე წარმატებული ამერიკული კომპანიაც, ამას წინათ ქართულ მხარის მიერ ღვინის „საავტორო უფლებების" დარღვევაში დადანაშაულებული „Dozortsev and Sons" იყო წარდგენილი, რომელმაც ქართული ღვინოების მიერ აშშ-ში მიღებული ჯილდოების სიაც გაგვაცნო: „ხვანჭკარა" — ტორონტოს ღვინისა და ყველის შოუ (2004ძ; „ქინძმარაული — ნიუ-იორკის ღვინის საერთაშორისო კონკურსი (2005ძ; „მუკუზანი" და „ქინძმარაული" — აღმოსავლეთის საერთაშორისო ღვინის ფესტივალი (2006ძ და ა.შ.

სადეგუსტაციო მაგიდებზე ღვინის დაგემოვნების პროფესიონალები და მოყვარულები არა მარტო ქართული ღვინოების 7000-წლიანი ისტორიის ნიმუშებს ცოტ-ცოტას სვამდნენ, არამედ შეექმნათ ქართული ღვინის მწარმოებლების მიერ შექმნილი, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ინგლისურენოვანი სარეკლამო ბუკლეტები, პოსტერები, ბარათები, ქაღალდის პატარა დროშები, სასუვენირო ჩანთებიც დაეთვალიერებინათ და სახლში სამახსოვროდ წაეღოთ. „ბაგრატიონი" — 1882 წლიდან, „სარაჯიშვილი" — 1884-დან, თბილღვინო — 1962-დან, „თელიანი ველი" — 1997-დან... Produced in Georgia — ასე ეწერა „კახეთის ტრადიციული ღვინის" სარეკლამო პოსტერებს, რომელზეც თიხის ორიგინალური ჭურჭელი იყო გამოსახული. იქვეა დოქების სახელწოდებებიც: „ვახტანგური", „დოინჯი", „დიოსკურია", „სამზე", „ალავერდი", „ტაძარი", „ძველი უბანი", „ორნამენტიანი", „თამადა", „კალათა", „ასკანა" ...სტუმრებს დაურიგდათ ფურცლები, რომელზეც ღვინის დასახელებათა სიის გასწვრივ თითოეულის ყლუპ-ყლუპად გასინჯვის შემდეგ საკუთარი კომენტარებისა და შთაბეჭდილებების ჩანიშვნაც შეიძლებოდა.

**მიხეილ ბარიშნიკოვი სწორედ მაშინ შევნიშნე, როცა „მუკუზანს" აგემოვნებდა. რამდენიმე დღის წინათ იგი ავსტრალიიდან ჩამოფრინდა, სადაც, ბუნებრივია, იცეკვა. ვიცოდი, რომ ორგანულად ვერ იტანს ინტერვიუებს. არ ვიცი ქართული ღვინის ბრალი იყო თუ იმის, რომ რომ სიმართლე ვუთხარი და ჩემი ოცნების — ბალერინობის არასრულების მიზეზი გავაცანი, გამესაუბრა... მან თბილისში გატარებული დღეები გაიხსენა, როცა თბილისის ქუჩებში თავად აკრავდა აფიშებს, გაიხსენა პარტნიორი ქალები, პარიზში ქართველ ემიგრანტებთან დაგემოვნებული ღვინო, რომელმაც მასზე მაშინ არც ისე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მერე კი „წინანდალი" დააგემოვნა და მითხრა, რომ ამ ღვინოს ხის გემო აქვს, რომ ხე უყვარს, რადგან ხე ბუნებაა...**

**ია მერკვილაძე,**
„სრ" საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ



რეპლიკა

## მართლა კეთილი ნაყოფია?

**გინდ დაიჯერეთ გინდ არა, თურმე საქართველოში არსებობს ნაყოფი, მართალია, საოცრად შეუმჩნეველი, შეუხედავი, მაგრამ უნიკალური.**

**ალბათ იკითხავთ, თუ რაშია მისი უნიკალურობა. უნიკალურია იმით, რომ მის შუაგულში ჩამარხულია მილიონობით დოლარი.**

**თურმე ეს ნაყოფი ძალიან უყვარს ჩვენს მაღალს. აქებს, დიდი გული აქვსო. საოცრად კეთილი ნაყოფიაო. გვარიც, რომ ამართლებს?**

**ლონდა მდივანი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

14 ივნისი ინვალიდთა დღეა

# ჩვენ ყველანი ვჭირდებით ერთმანეთს

**პირველად საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის პირთა მონაწილეობით სამდღიანი კონგრესი გაიმართა, რომელშიც მოწვეული იყვნენ სტუმრები ამიერკავკასიიდან, უკრაინიდან, ევროპიდან და სხვა ქვეყნებიდან. ასეთი მასშტაბური ღონისძიება კავკასიაში ჯერ არ ჩატარებულა.**

უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში 650 მილიონ ადამიანს აქვს ფიზიკური, ფსიქიკური თუ ინტელექტუალური პრობლემები. ადრე ასეთი ადამიანები საზოგადოებისგან გარიყულები იყვნენ, თუმცა დრო და დრო მათი კომუნიკაცია და ადაპტაცია სოციალურ გარემოში სულ უფრო ინტენსიური ხდება. ისინი ცდილობენ იმ შესაძლებლობების რეალიზებას, რისი უნარიც გააჩნიათ და ამაში უდიდესი წვლილი არასამთავრობო ორგანიზაციებს მიუძღვით. კონგრესის ორგანიზატორები იყვნენ „თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი“ და „კავშირი ადამიანებისთვის – განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“. „თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრს“ მარინა შოსტაკი ხელმძღვანელობს და რამდენიმე პროექტს ახორციელებს: კურირებს სამკურნალო-პედაგოგიურ საბავშვო ბაღს, სკოლას, დამატებითი განათლების ფაკულტეტს. არსებობს საკონსულტაციო ცენტრები მშობლებისთვის. აქვე ხდება ინტელექტუალური განვითარების პრობლემების მქონე ახალგაზრდებისთვის პროფესიების სწავლება.



„კავშირი ადამიანებისთვის – განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“ 20 წელიწადზე მეტია, არსებობს. მას ნანა ლომიძე ხელმძღვანელობს. სწორედ აქ დაინერგა სოციალური თერაპია, სადაც რეგულარულად დადიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, განსაკუთრებით პატარები, მოზარდები... როგორც ის ამბობს: „ადრე ასეთ რამეზე ფიქრი წარმოუდგენელიც კი იყო, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში, ეს ჩვეულებრივი ამბავია. კონგრესიც იმას ემსახურება, რომ გამოცდილება გავუზიაროთ ერთმანეთს – კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს ასეთი ადამიანებისთვის, რათა უკეთესად იყვნენ ინტეგრირებულნი საზოგადოებაში.“

სამწუხაროდ, დღეს სოციალური თერაპიის ცენტრებში სიარული ზოგიერთებისთვის პრობლემაა, განსაკუთრებით ნაკლებშემოსავლიანი ოჯახებისთვის, სახელმწიფო მათ ვერ აფინანსებს ბოლომდე და მშობლებს უმეტესად თანადაფინანსება უწევთ, რის გამოც ბევრი წუხს და სამართლიანად.

მაკა გიორგაძეს ხშირად უწევს ამ ცენტრთან ურთიერთობა, რადგან მისი მეორე შვილი დაუნის სინდრომით დაიბადა, თუმცა ამის გამო მას ფარხმალი არ დაუყრია: „თავიდანვე დამაკვალიანეს ექიმებმა. 750 ბავშვიდან ერთი დაუნის სინდრომით იბადება, თუმცა რა იწვევს ამას, მეცნიერები ვერ ხსნიან. ეს არ არის გენეტიკური დაავადება. სრულიად ჯანმრთელ მშობლებს ჰყავთ ასეთი ბავშვები. ჩემი გოგონა ორი წლისაა და გონებრივად ისევე განვითარებულია, როგორც ჩვეულებრივი ბავშვი, განსაკუთრებით მუსიკა უყვარს, ფიგურებს აწყობს, თამაშობს და ამაში ყველანაირად ვუწყობ ხელს. დღის ცენტრში დამყავს და რასაც სპეციალისტები მირჩევენ, იმას ვაკეთებთ. ხანდახან ვერც ვგრძნობ, თუ მას რაიმე პრობლემა აქვს. უბრალოდ ესაა, რომ გარეგნულად ეტყობა; რომ არა ასეთი ცენტრები და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობა, გაცილებით ძნელი იქნებოდა ასეთი ბავშვების სწორი მოვლა“...

**14 ივნისი ინვალიდთა საერთაშორისო დღეა. მათი ხელშეწყობა ყველა ადამიანის მოვალეობაა. მათ არ უნდოდათ ყოფილიყვნენ ისეთები, როგორებიც არიან, უბრალოდ ეს მათი ხვედრია, რომელიც შეიძლება ჯანმრთელ ადამიანს გაცილებით მძიმე და გაუსაძლისი ეჩვენება, ვიდრე თავად მათ. ისინი ამ ყოფას ჩვეულებრივად აღიქვამენ. კონგრესიც იმას ემსახურება, რომ საზოგადოების ცნობიერება შეიცვალოს და აღვიქვათ ინვალიდები ისეთებად, როგორებიც თავად ვართ.**

ნია ფიფია

საგადასახადო ტერორი

# გამოძალვაზე ორიენტირებული შემოსავლები

(მეოთხე გვერდიდან)

დღეს საგადასახადო სისტემაში კერძო სტრუქტურის ჩართვა ხელისუფლების მხრიდან ცუდი მახსოვრობის ან სიბრიყვის შედეგია, რადგან სულ ადვილი შესაძლებელია გაჩნდეს ანგარიშსწორების, მიკერძოებისა და სუბიექტურობის სათავე, რაც არც სახელმწიფოსა და არც ბიზნესს კარგს არაფერს მოუტანს. საქართველოში დამკვიდრებული დემოკრატიის პირობებში ეს ყველაფერი შეიძლება პარტიული ნიშნითაც განხორციელდეს, მავანს არ სურს პასუხისმგებლობა სახელმწიფომ იკისროს და ჩავარდნები კერძო სუბიექტს უნდა გადაბრალდეს.

**— თქვენ ისე გამოგყავთ, ბატონო თენგიზ, რომ ხელისუფლება, რომელიც დაინტერესებული უნდა იყოს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისთვის სასურველი პირობების შექმნით, თითქოს ამის საწინააღმდეგო სვლებს აკეთებს. პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლებს ხომ ისმენთ ტელევიზიით? ის ყოველთვის ამაყობს იმ მონაპოვრით, რასაც ამ მიმართულებით საქართველომ მიაღწია და ყველას მოუწოდებს იმისაკენ, რომ სამომავლოდ ქვეყანაში ბიზნესს კიდევ უფრო უკეთესი სამუშაო პირობები შეექმნას.**

— რა თქმა უნდა, პრეზიდენტის დაპირებებს ვისმენ, მაგრამ მისი უკვე აღარა მწამს, რადგან სააკაშვილი ერთს ლაპარაკობს, ცხოვრებაში კი საწინააღმდეგო კეთდება. გვეუბნებიან მეწარმეებს ისეთ პირობებს შეგიქმნით, თავს დანატროდეთო, სინამდვილეში კი გვატერორებენ და ნორმალურად, მშვიდად მუშაობის საშუალებას არ გვაძლევენ. ამიტომ ხშირად ვფიქრობ ხოლმე, ხომ არ მოვუწოდოთ ხელისუფლებას – საგადასახადო კანონები კიდევ უფრო გაართულონ და გაამკაცრონ, რათა მთავრობისგან შებრუნებულ ქმედებას მივაღწიოთ? ისე კი, ყველაფერს აჯობებს, ახალ-ახალი სისულელეების გამოგონებას მოეშვნენ, შემოიღონ ფიქსირებული გადასახადი, თუნდაც გაცილებით მძიმე, ვიდრე ახლა არის და თავი დაგვანებონ, მშვიდად ცხოვრებისა და მუშაობის საშუალება მოგვცენ.წინასწარ რომ გვეცოდინება, რამდენი უნდა გადავიხადოთ, უეჭველად გადავიხდით, ამით ებენიც დაისვენებენ და ჩვენც.

ღმერთმანი, კარგი სიტყვაა, მაგრამ საეჭვოა, სარეფორმატორო საქმიანობით დაბორიალებული ხელისუფლება სისულელეების კეთებას ერთი ხელის მოსმით გადაეჩვიოს.

ოთარ ხუციშვილი

კვლევა

# ბიოლოგიური ომი?!

**ადამიანთა ბიოლოგიური უსაფრთხოების პრობლემა ისეთივე ძველია ჩვენს პლანეტაზე, როგორც თვით კაცობრიობის ისტორია. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში დაპირისპირებული მხარეები ტერიტორიის მიტაცების ან ადამიანთა განადგურების მიზნით, არც თუ იშვიათად იყენებდნენ ბიოლოგიურ მეთოდებს. ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებად ითვლებოდა სასმელი წყლის მოწამლვა ან ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრიდან თუ ქალაქის გალავნიდან გარდაცვლილ ადამიანთა გვამების გადაყრა, რაც იწვევდა სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა სწრაფ გავრცელებას და მასობრივ ეპიდემიებს.**

დღეს დადგენილია, რომ ეპიდემიებმა დედამიწაზე 10-ჯერ მეტი რაოდენობის ადამიანი შეიწირეს, ვიდრე სამხედრო შეტაკებებმა და ომებმა. მე-14 საუკუნეში ევროპაში გავრცელებულმა შავმა ჭირმა სხვადასხვა გათვლების თანახმად, 25-დან 65 მილიონამდე ადამიანი მოსპო. დასავლეთ ევროპის ქალაქებში ადამიანთა გვამების მთელი მთები წარმოიშვა. შავმა ჭირმა მუსრი გაავლო მე-4 საუკუნის ბიზანტიის მოსახლეობას.




მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან ცალკეული ქვეყნების მეცნიერთა ჯგუფებმა უკვე სისტემატიურად დაიწყეს ბიოლოგიური იარაღის შექმნის პრობლემებზე მუშაობა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამ მხრივ გერმანია, იტალია და იაპონია. აშშ სპეცსამსახურების მონაცემებით, თანამედროვე მსოფლიოს თითქმის 17 ქვეყანაში წარმოებს ამ ტიპის კვლევები. „გაჟონილი“ ინფორმაციის მონაცემებით, ამჟამად ადამიანის ორგანიზმში შეიძლება შეყვანილი იქნეს გენურ დონეზე ე.წ. ბიორეგულატორები – მავნე ფიზიოლოგიური თუ ფსიქოტროპული თვისებებით და საკმაოდ ადვილად შეიძლება გავრცელდეს სურსათის, სასმელების, ნარკოტიკებისა თუ კოსმეტიკური საშუალებების გამოყენებით. სამეცნიერო კვლევები ამ დარგში დღესაც გასაიდუმლოებულია. ყოფილ სსრკ-ში ამ ტიპის პროგრამებზე მუშაობდა საკავშირო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სამსახური. ამჟამად საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები როგორც ბიოლოგიური იარაღის, ასევე მისგან თავდაცვის საკითხებზე. ასეთი მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები ბევრ ქვეყანაში არსებობს. მაგალითად, რუსეთში პუშჩინოს სამეცნიერო ცენტრი აერთიანებს რუსეთის აკადემიის 9 ინსტიტუტის 1000-ზე მეტ თანამშრომელს, რომლებიც მხოლოდ ამ დარგის კვლევებით არიან დაკავებული.

იმისათვის, რომ ბიოლოგიური თავდასხმის ობიექტი (ან ლაბორატორიის საკვლევი კურდღლის როლში, მიმდინარე კურდღლის წელიწადშიძ არ აღმოვჩნდეთ, ალბათ, გვჭირდება, რა უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, მაღალკვალიფიციური კადრები, მაღალხარისხოვანი მოწინავე ტექნოლოგიები და ა.შ. ანუ თანამედროვე სამედიცინო და ბიოლოგიური მეცნიერება.

რაც მთავარი და მნიშვნელოვანია, ბიოლოგიურ იარაღს მკვლევარები უწოდებენ „ღარიბი ქვეყნების მასობრივი განადგურების იარაღს, ანუ იგივე ატომურ ბომბს“. ამიტომ მისგან თავდაცვის ყველაზე უებარ საშუალებად მიაჩნიათ, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, თანამედროვე სამედიცინო მომსახურება და ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები, ეკოლოგიურად უვნებელი კვების პროდუქტები, ბინა, შრომისა და დასვენების ნორმალური პირობები.

(სხვათა შორის, მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ანტიბიოტიკებით მკურნალობისას საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, რადგან ამ დროს არაიშვიათად ხდება ანტიბიოტიკების ზემოქმედების შედეგად დაღუპული ბაქტერიებითა და ვირუსებით ორგანიზმის ნაწილობრივი მოწამლვა, რასაც ემატება სასარგებლო ფლორის რაოდენობის მეტ-ნაკლები განადგურებაცძ.

მედეა თავდიშვილი.

*P. S. აშშ ჩრდილოეთ დაკოტის უნივერსიტეტში პროფ. ვან სიაოტიანმა და მისმა ასპირანტმა რობერტ დვორაკმა საინტერესო სამეცნიერო კვლევა ჩაატარეს, სტუდენტების ორ ჯგუფს დაუსვეს კითხვა, რა გირჩევნიათ, ახლავე მიიღოთ მცირე ფულადი თანხა, თუ გაცილებით სოლიდური თანხა მომავალში, ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „დღევანდელი კვერცხი გირჩევნია თუ ხვალინდელი ქათამიო“. გამოკითხვამდე სტუდენტების ერთ ჯგუფს დაალევინეს შაქრიანი წყალი, ხოლო მეორეს კი ასპარკამით დატკბილული წყალი. ამასთანავე, ორივე ჯგუფის სტუდენტებს აუღეს სისხლი შაქრის რაოდენობის განსაზღვრის მიზნით. ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტებმა, რომლებსაც შაქრიანი წყალი დაალევინეს და შესაბამისად სისხლში ჰქონდათ გლუკოზის საკმარისი რაოდენობა, ხვალინდელ ქათამს მისცეს უპირატესობა, ხოლო ასპარკამიანი წყლით გამასპინძლებული სტუდენტების უმრავლესობამ დღევანდელი კვერცხი ამჯობინა.*

*მკვლევართა თანახმად, გლუკოზა ეს ენერგიის წყაროა. ორგანიზმი იღებს რა ენერგიის საკმარის რაოდენობას, მისი ქვეცნობიერება ორიენტირდება მომავალზე. ასპარკამი გრძნობათა ორგანოების სატყუარაა, რომელსაც ტკბილი გემო კი აქვს, მაგრამ არ წარმოადგენს არავითარ ენერგიის წყაროს. ასეთ სიტუაციაში ორგანიზმი ორიენტირდება არა მომავლისაკენ, არამედ აწმყოსაკენ. როგორ ენდოს გაურკვეველ მომავალს, როცა ახლავე ატყუებენ? ამიტომ ირჩევს მცირედს, მაგრამ რეალურს.*

*კვლევის შედეგები სხვა მხრივადაც საინტერესოა. ჯერ ერთი, წუთიერ გუნება-განწყობილებას რომ არ აჰყვეთ, ურიგო არ იქნება, თუ წინასწარ მიიღებთ ტკბილ წყალს, ანუ ორგანიზმს მოამარაგებთ ენერგიით. გლუკოზა გაგინათებთ გონებას და დაგანახებთ არა მარტო რეალურ სიტუაციას, არამედ შენი მოქმედების თუ გადაწყვეტილების შედეგს. და მეორე, სანამ კრედიტორს სთხოვ ვალის გადავადებას, ურიგო არ იქნება, თუ მას გაუმასპინძლდებით.*

*ასე რომ, ჩვენი წინაპრები არც თუ ისე შორს იყვნენ ჭეშმარიტებისაგან, როცა მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებას მაგიდის ირგვლივ ცდილობდნენ.*

*მ. თ.*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო რუსების მიერ ჩერქეზების გენოციდს აღიარებს

**საქართველომ ოფიციალურად აღიარა გენოციდად 1860-იან წლებში რუსების მიერ ჩერქეზი ხალხის მკვლელობები და დეპორტაცია, რაც აგრესიული ნაბიჯია მისი ჩრდილოელი მეზობლის მიმართ**

საქართველო დიდი ხნის განმავლობაში ემუქრებოდა რუსეთს ასეთი აღიარებით და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, ასევე რუსეთის ქალაქ სოჭისთვის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე უფლების მიცემამ 2010 წელს, თბილისს მოქმედებისკენ უბიძგა. მართალია, ეს ნაბიჯი მოსკოვისთვის მკვეთრ დარტყმას არ წარმოადგენს, თუმცა ოლიმპიადის წინ მოსკოვისთვის ეს ძალიან შეუფერებელი დროა და ასეთმა აღიარებამ შეიძლება კავკასიის სხვა ეთნიკური უმცირესობები გაამხნევოს და უბიძგოს მათ იმ კითხვების საჯაროდ დასმისკენ, რაც რუსების მხრიდან სავარაუდო გენოციდთან დაკავშირებით დაუგროვდათ.

საქართველო პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც მსგავსი ნაბიჯი გადადგა ამ მოვლენებიდან დაახლოებით 150 წლის შემდეგ. საქართველოს ასეთი მოქმედებისკენ უამრავმა პრობლემამ უბიძგა – დაწყებული რუსეთის სამხედრო ძალების გაზრდასთან დაკავშირებული მზარდი შეშფოთებით, დამთავრებული მოსკოვის მხრიდან საქართველოს სეპარატისტული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონების მხარდაჭერით.

ჩერქეზები, რომლებიც საკუთარ ენაზე თავს ადიღეელებს უწოდებენ, ერთ-ერთი იმ უმცირესობათაგანია, რომლებიც არასტაბილურ მრავალეთნიკურ ჩრდილოკავკასიურ რეგიონში ცხოვრობენ. ჩერქეზთა სავარაუდო გენოციდი 1860-იან წლებში მოხდა და, როგორც ამბობენ, მაშინდელ ომში, ასობით ათასი კაცი მოკლეს. ჩერქეზების უმრავლესობა ოსმანთა იმპერიაში (დღევანდელ თურქეთშიძ ალმოჩნდა, სადაც მათი ნაწილი გაიქცა, ან იძულებული გახდა გამგზავრებულიყო. დღეს იქ დაახლოებით ორი მილიონი ჩერქეზი ცხოვრობს, თუმცა არსებული შეფასებით, დაახლოებით 800 ათასი ჩერქეზი ძველებურად რუსეთის კავკასიაში, სხვადასხვა ავტონომიური რესპუბლიკის, კერძოდ ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს.

ქართველები დიდი ხნის განმავლობაში იმუქრებოდნენ, რომ აღიარებდნენ ჩერქეზების გენოციდს, იყენებდნენ ამ საკითხს რუსეთზე პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად.

ადრე საქართველოს მხრიდან გენოციდის აღიარებისთვის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას ის ბოლო ოცი წლის განმავლობაში რუსეთი სასტიკ ომებს აწარმოებდა ჩეჩნების და დაღესტნელების წინააღმდეგ, ასევე სასტიკი წარსული აქვს რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ. მიუხედავად ამისა, ეს სარისკო პრეცედენტია კავკასიურ რესპუბლიკებში სავარაუდო გენოციდების გამო დისკუსიებისთვის, ისეთ რესპუბლიკებში, როგორიც, მაგალითად, სომხეთია.

STRATFOR-ის წყაროები კრემლში ამბობენ, რომ ჩერქეზები მოსკოვისთვის სულ უფრო მზარდი შეშფოთების საგანია. 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის-



მოლოდინი წარმოადგენდა, რომელიც სხვა კავკასიურ უმცირესობებს ჰქონდათ, რომ საქართველო გენოციდთან დაკავშირებულ მათ ბრალდებებსაც აღიარებდა. მართლაც, ჩერქეზებთან დაკავშირებული ქართული რევოლუციის შემდეგ, უკვე ჩეჩნეთიც და დაღესტანიც გააქტიურდნენ იმ თვალსაზრისით, რომ საქართველომ მათ სტატუსთან დაკავშირებითაც ანალოგიური პოზიცია დაიკავოს, თუმცა შედარებით მშვიდობიანი ჩერქეზების მხარდაჭერა რეგიონში ერთი საკითხია, ხოლო ჩეჩნების და დაღესტნელების სულ სხვა საქმეა.

თვის ტურისტული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილის მშენებლობა ჩერქეზულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს და წყაროები აცხადებენ, რომ ამ ინფრასტრუქტურული პროცესების საბოტაჟი, მაგალითად, ახლახან სათხილამურო გზებისთვის გადაჭიმული გვარლების გადაჭრა, უარი სამუშაოს შესრულებაზე, სამშენებლო მასალების მოპარვა და რუსი მშენებლების დაშინება – ეს ყველაფერი უკიდურესად ართულებს თამაშების დაწყებამდე სამშენებლო პროცესის დასრულების ამოცანას. ქართველების მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ხელს შეუწყობს სიმტკიცის გაძლიერებას ამ სავარაუდო საბოტაჟის მონაწილეებში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამას საქართველოს ფინანსური მხარდაჭერაც დაემატება.

ძალიან მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი, ის, თუ კონკრეტულად რა დრო აარჩია საქართველომ აღიარებისთვის და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის კვლავ ცდილობს იმ პრობლემის ამოთხრას, რომელიც მოსკოვმა დიდი ხნის წინათ დამარხა. ქართველები სულ უფრო მეტი სიფრთხილით ეკიდებიან აფხაზეთის გაძლიერებას, რომელიც ერთ-ერთ იმ სუბიექტად გარდაიქმნება, რომელიც ოლიმპიური ძალისხმევისგან ყველაზე მეტ სარგებელს იღებს, ისევე როგორც ჩერქეზული მიწები, აფხაზეთი ინფრასტრუქტურული მშენებლობის კიდევ ერთი ძირითადი მიმართულებაა, რაც მოიცავს სასტუმროების, სარკინიგზო ხაზების და სავაჭრო ცენტრების მშენებლობას. აფხაზეთის ეკონომიკა ფაქტობრივად ორჯერ გაიზარდა მას შემდეგ, რაც ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი სამუშაოების აქტიური ფაზა დაიწყო. აფხაზებს და ჩერქეზებს, დიდი ხანია ახლო ურთიერთობა აქვთ, ჩერქეზები აფხაზების გვერდიგვერდ იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ 1992-93 წლის ომებში და 2008 წელს. საქართველოს აღიარებამ ამ ჯგუფების ურთიერთობაში შეიძლება პრობლემა შექმნას და აფხაზები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს, როდესაც ისინი იძულებული გახდებიან თავიანთი მჭიდრო კავშირები რუსეთთან ჩერქეზებისადმი სოლიდარობას შეუთავსონ.

საქართველოს არა აქვს ბევრი ბერკეტი იმისთვის, რომ რუსეთს საპასუხო დარტყმა მიაყენოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს მოსკოვის მხრიდან აფხაზების მხარდაჭერას, მაგრამ თავად რუსეთის უმცირესობებს შორის დაძაბულობის პროვოცირება ტაქტიკაა და ამ კონკრეტული დარტყმისთვის შერჩეული დრო კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

STRATFOR

## დედამიწის ზურგზე



**ირანი ტრაბახობს ახალი მიღწევებით: გაამდიდრა 50 კილოგრამზე მეტი ურანი და შეიმუშავა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საკუთარი სისტემა**

ოფიციალური თეირანი აგრძელებს ურანის გამდიდრებას და განზრახული აქვს დააჩქაროს იგი, მიუხედავად უცხოეთის ქვეყნების ზემოქმედებისა. მასალა ქვეყანას სჭირდება კვლევითი სამუშაოების რეაქტორებისთვის, რათა დაამზადოს რადიოაქტიური იზოტოპები სამედიცინო მიზნებისთვის, ირწმუნება ხელისუფლება.

**ახალი ზელანდიის მრავალტანჯულმა ქალაქმა კრაისტჩერჩმა განიცადა მიწისძვრა ბიძგების სერია, არიან დაზარალებულები**



ეს ქალაქი პრაქტიკულად დაინგრა თებერვალში ძლიერი მიწისძვრის შედეგად. მაშინ დაინგრა ბევრი შენობა, ცენტრალური ტაძარი, რამდენიმე რაიონი საცხოვრებლად უვარგისად იქცა. ზარალმა 15 მილიარდი დოლარი შეადგინა.

**აშშ-მ საიდუმლოება მოხსნა სკანდალური „პენტაგონის დოსიეს“ ვიეტნამში ომის შესახებ**

ეს ხდება ომიდან 40 წლის შემდეგ, როდესაც სახელგანთქმული დოკუმენტები, რომლებმაც თავის დროზე ამერიკის ხელისუფლების ნდობა შეარყია, პირველად ნაწილობრივ აღმოჩნდა პრესაში. იმ გადინების 80 წლის დამნაშავე, რომელსაც ჯაშუშობაში ედებოდა ბრალი და ახლა დაჟინებით გაიძახის, რომ იყო მართალი, ვიკილიკსის ინფორმატორს „გმირს“ უწოდებს.



# რუსეთის ამბიციები იზრდება

**ბრიუსელში უშედეგოდ დასრულებული ნატო-რუსეთის მოლაპარაკების მიზეზებზე, რა შედეგით დასრულდება რუსეთ-ევროკავშირის სამიტი, ასევე, იმაზე, თუ რა რეაქცია ექნება რუსეთს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ევროპარლამენტის მიერ მიღებულ ბოლო რეზოლუციაზე, რომლითაც რუსეთს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსული პასპორტების დარიგების შეწყვეტა და ამავე ტერიტორიებიდან სამხედრო ბაზების გაყვანა დაეკისრა, „ინტერპრესნიუსი“ რუს სამხედრო ექსპერტს, ინტერნეტგამოცემა „ეჟედნევნი ჟურნალის“ რედაქტორის მოადგილე ალექსანდრე გოლცს ესაუბრა.**

**– ბატონო ალექსანდრე, თქვენი აზრით, რატომ დასრულდა ბრიუსელში უშედეგოდ ერთობლივი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით ნატო-რუსეთის მოლაპარაკება?**

– ამ საკითხზე მოლაპარაკების წარმატებით დასრულებისთვის პრაქტიკულად არანაირი ბაზა არ არსებობდა. ცხადია, რომ ნატოს არ შეუძლია რუსული მხარის მოთხოვნათა დაკმაყოფილება. რუსეთი ორ რამეს მოითხოვს – 1. დაიდოს იმგვარი ხელშეკრულება და არა დეკლარაცია, რომელიც ნატოს იურიდიულად დაავალდებულებს, არ ააშენოს ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა. 2. ხელშეკრულებაში გაწერილი უნდა იყოს სისტემის კონკრეტული მონაცემები, გამანადგურებელი რაკეტების სისწრაფის, მათი მოქმედების შეზღუდვისა და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრები.

პარადოქსი ისაა, რომ ნატოსა და შეერთებულ შტატებს ევროპაში ერთიანი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნის გეგმა ჯერ შემუშავებულიც არა აქვთ. ამ თემაზე დისკუსიები მხოლოდ ახლა მიმდინარეობს. ასეთ ვითარებაში გამოდის, რომ ნატო თავიდანვე უნდა დათანხმდეს იმ შეზღუდვებს, რასაც რუსეთი მოითხოვს. ეს კი სიტუაციას აბსურდად აქცევს.

რაც შეეხება ერთიან რაკეტსაწინაწაღმდგო სისტემას, ნატოელებს კარგად ესმით, რომ ეს დემაგოგიაა, დემაგოგია ტექნიკური და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით. რუსეთს არა ჰყავს გამანადგურებელი თვითმფრინავები. გარდა ამისა, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ სიტუაცია სამეთაურო ცენტრში, როცა მტრის რაკეტა მოფრინავს, ხოლო ერთიანი სისტემის მხარეები იწყებენ კონსულტაციებს იმის თაობაზე, ჩამოაგდონ თუ არა იგი. საფრთხის შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილება ერთიანი სისტემის მართვის კომპიუტერმა უნდა მიიღოს, ამაზე კი რუსული მხარე არ თანხმდება.

**– თქვენი აზრით, რა შედეგით დასრულდება რუსეთ-ევროკავშირის სამიტი? სხვათა შორის, დაგეგმილ რუსულ-ევროპულ სამიტამდე, 9 ივნისს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც რუსეთს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქის პასპორტების გაცემის შეწყვეტა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან თავისი სამხედრო ძალების გაყვანა ევალება. რამდენად სავარაუდოა, რომ რუსეთი ევროპარლამენტის რეკომენდაციებს გაითვალისწინებს?**

– რუსეთ-ევროკავშირის მორიგი სამიტი ისეთივე შედეგებით დასრულდება, როგორც წინა ამდაგვარი სამიტები. სამიტი რამდენიმე „ტკბილ“ რეზოლუციას მიიღებს. მასში ევროკავშირი კვლავ დაადასტურებს, რომ იფიქრებს რუსეთის მოქალქეების ევროკავშირის ქვეყნებში, ხოლო ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეების რუსეთში უვიზოდ მიმოსვლის საკითხზე. ამ სამიტისგან გარღვევის მოლოდინი არ ღირს.

რაც შეეხება საქართველოსთან დაკავშირებით ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას, მასზე რუსეთს ისეთივე რეაქცია ექნება, როგორც წინა რეზოლუციებზე, რომელიც საქართველოს ეხებოდა. რუსეთი ამ რეზოლუციებს უბრალოდ უგულებელყოფს და ყურადღებას არ მიაქცევს. პირადად მე, ამაში ეჭვი არ მეპარება.

**– გაურკვეველი რჩება, ნამდვილად სურს თუ არა რუსეთს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრება. რჩება შთაბეჭდილება, რომ მოსკოვში იმის იმედით არიან, რომ პრეზიდენტი ობამა პრეზიდენტს სააკაშვილს ტელეფონით დაელაპარაკება და რუსეთიც ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდება...**

– რუსეთში არსებობენ ძლიერი ლობისტური დაჯგუფებები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრებაში. ყველას კარგად ესმის, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ამ ორგანიზაციის წევრი გახდება, მსოფლიო ბაზარზე რუსეთის მანქანათმშენებლობის სისტემის საწარმოები დაზარალდებიან. ისინი მსოფლიო ბაზარზე არსებულ პროდუქციას კონკურენციას ვერ გაუწევენ. ამიტომ, ორგანიზაციაში გაწევრება-არგაწევრებასთან დაკავშირებით რუსეთს ტკბილ-მწარე დამოკიდებულება აქვს.

ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხში შეცდომას უშვებს, როცა რუსეთს ამ ორგანიზაციაში გაწევრების გზაზე პრობლემებს უქმნის და თავის თანხმობას მოსკოვზე ზემოქმედების ფაქტორად იყენებს. მეტ-ნაკლებად გასაგები უნდა იყოს, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკა პრეზიდენტ ობამას მოღვაწეობაში, შესაძლოა, მთავარი პოლიტიკური მიღწევა იყოს.

ისიც გასაგებია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას იგი სწორედ ამ პოლიტიკურ ხაზს განავითარებს. გასაგები უნდა იყოს ისიც, რომ ასეთ ვითარებაში საქართველოზე ზემოქმედებას არა რუსეთი, არამედ აშშ და სხვა წონიანი მოთამაშეები განახორციელებენ.

**კობა ბენდელიანი**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

მოსაზრება

# ფეხი დამადგით გულზე ყოველმან!

**თბილისში, ყოფილი რესპუბლიკის მოედანზე აღმართული დავით აღმაშენებლის ძეგლი დიდოშის გადაიტანეს. ძეგლი ქალაქის ცენტრში შემთხვევით არ დაგვიდგამსო, ასეთი განცხადება გააკეთა იმ დროს ძეგლის ავტორმა.**

დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა, ერთი შეხედვით მიუღებელი და ჩვენი ხალხისთვის შეურაცხმყოფელი ღონისძიება, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ მეტად საჭირო და აუცილებელ ნაბიჯად გადააქცია.

როდესაც ხელისუფლების შეცვლა მოხდა, ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცი დადო. ძნელი სათქმელია, რაზე დადო ფიცი, რა ვალდებულებები იკისრა, ან გრძნობდა თუ არა იგი იმ მაღალ პასუხისმგებლობას, რასაც დავით აღმაშენებლის საფლავზე თუნდაც ამ რიტუალის შესრულება ავალდებულებდა?

საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მისი ეს ნაბიჯი ახალგაზრდული მაქსიმალიზმის გამოვლინებად მიიჩნია.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ახალგაზრდა პრეზიდენტმა, ალბათ, იგრძნო, რომ საფლავზე დადებულ ფიცს ვერ შეასრულებდა და ვეღარ აიტანა „ვარდების რევოლუციის“ მოედანზე ზეაღმართული მეფის ქანდაკება და მისი გადატანა ბრძანა.

ძეგლის ადგილის შეცვლა ჩვენმა საზოგადოებამ აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნია, რადგან დავით აღმაშენებლის ძეგლის უკან მდგარი სასტუმრო „ივერიის“ შენობა დაანგრიეს. ქართველი არქიტექტორების მიერ დაპროექტებული და ქართველი მშენებლების მიერ აშენებული ქართულად „მოზრდილი“ „ივერიის“ შენობა, ქართველი ხალხისთვის მისაღებ ფონს უქმნიდა დავით აღმაშენებლის ძეგლს.

„ივერიის“ შენობა „ბლუ ივერიად“ გადააკეთეს.

დგას დღეს, „ბლუ ივერიის“ კუბურად „მომზირალი“ და „ზეთიანი“ შენობა, როგორც მოწმე დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულებისა ქალაქის არქიტექტურისადმი, ქვეყნის ისტორიისა და დღევანდელობისადმი.

ძლევამოსილი მეფის ძეგლს ის ადგილი დასტურ აღარ ეკადრებოდა.

როგორც დედაქალაქში, ისე ქვეყანაში ხელისუფლების მიერ გატარებულმა პოლიტიკამ დრამატული ხასიათი მიიღო. თბილისის ცენტრში მან აპოგეას მიაღწია. შენობებიდან გამოყარეს გაზეთების და სხვა რედაქციები, საცხოვრებელი სახლებიდან — ოჯახები. აღმაშენებელი ხელისუფლების მტკიცებით ეს შენობები მათ „ვარდების რევოლუციამ“ მიაკუთვნა.

ასეთი ხელისუფლება ქალაქის ცენტრში დავით აღმაშენებლის ძეგლს არ გააჩერებდა.

რადგან ბუნებაში შემთხვევით არაფერი არ ხდება, იქნება ჩვენ საქართველოს მოქალაქენი ვართ დამნაშავენი? იქნებ ჩვენ დავიმსახურეთ ასეთი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა? ჩვენ არ მივეცით ხმა ამ ხელისუფლებას?! აკი ყველა იმას გვიკიჟინებდა, ყოველი ხალხი იმ ხელისუფლებას იმსახურებს, რომელსაც ირჩევსო.

საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის, რიგითებისთვის, ყველაზე მეტად დამთრგუნავი სულ სხვა რამ იყო. ჩვენმა ხალხმა, პირველ რიგში ინტელიგენციამ, თავის დროზე, ვერ „წაიკითხა“ დიდი მეფის ძეგლი. ვერ გაიგეს, თუ რატომ ზის ცხენზე არამეფურად, ბერივით, ძლევამოსილი მეფე, რატომ ახურავს ძალიან პატარა, თითქოს სიმბოლური გვირგვინი (ფრესკაში დიდ მეფეს დიდი გვირგვინი ახურავს) და რას ნიშნავს ზეაღმართული თითი, რისი თქმა სურს დიდ მეფეს (დიდ მოქანდაკეს)?

როგორც გაჩირაღდნებული ელექტრონათურები ქსელში ძაბვის ვარდნის გამო დაიწყებენ ბჟუტვას, ასეთნაირად შეიძლება გამოისახოს ზნეობისა და ინტელექტუალური დონის ვარდნა ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციაში უკანასკნელ წლებში.

ასეთი ინტელიგენცია დიდი მოქანდაკის ქმნილებას ვერ „წაიკითხავდა“.

დავით აღმაშენებლის ეპოქიდან ჩვენს ეპოქამდე საუკუნეებია „ჩაწოლილი“. აღმაშენებლის დროს აშენებული ქალაქები, ციხე-ტაძრები, გზები, სარწყავი არხები და წყალსადენები დღესაც ალტაცებას იწვევს ჩვენში. მისმა თანამედროვეებმა და შემდგომმა თაობებმა დავით მეფეს აღმაშენებელი უწოდეს. დიდ მეფეს, „ძლევაი საკვირველის“ სულისჩამდგმელს, თბილისის არაბთა ბატონობისაგან გამომხსნელს, საქართველოს გამაერთიანებელს და გამათავისუფლებელს, ხალხმა მაინც აღმაშენებელი უწოდა. ხალხის ნება, მრავალი სისხლისმღვრელი ომის გადამხდელი მეფე ისტორიაში შესულიყო როგორც აღმაშენებელი, ნაკარნახევი იყო ხალხის დიდი სიყვარულით დავით მეფისადმი. და რადგან დიდი მეფე პატივისცემით ეპყრობოდა არა მარტო ქართველებს, არამედ არაბებს, სპარსელებს, ქალაქ თბილისის სხვა მაცხოვრებლებს, რომლებიც თავის დროზე ქვეყნის დასამორჩილებლად შემოიჭრნენ და შემდეგ გახდნენ ამ ქვეყნის მაცხოვრებლები.

ხალხი ბრძენია და მათი ნება-სურვილი გადაფასებას არ ექვემდებარება.

ჩვენ, ქართველი ხალხის იმ ფენის წარმომადგენლებმა, რომელთა წინაპრებიც დიდი მეფის ლაშქარში მეწინავენი იყვნენ, ხოლო ციხე-ტაძრების მშენებლობისას დიდი მოცულობის და მძიმე სამუშაოებს ასრულებდნენ, დიდი მოქანდაკის ძეგლი „წავიკითხეთ“.



სხვანაირად, ალბათ, არც შეიძლებოდა.

ჩვენს მიერ ძეგლის „წაკითხვის“ თაობაზე რომ მოგახსენოთ, უპირველესად უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ მოხდა ძეგლის შეკვეთა. ე.წ. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა მიტინგზე განაცხადა, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლი უნდა აღმართულიყო რესპუბლიკის მოედანზე, სოციალისტური სახელმწიფოს დროს აშენებული სამთავრობო ტრიბუნების პირდაპირ. ცხენზე ამხედრებულ დავით მეფეს, სამთავრობო ტრიბუნებისკენ გაწვდილ ხელში სამეფო (სახელისუფლო) გვირგვინი უნდა სჭეროდა. რა აზრიც იყო ჩადებული ამ დაკვეთაში და ეკადრებოდა თუ არა იგი დავით აღმაშენებლის სახელს და ხსოვნას, ძეგლის დამკვეთებს არ აფიქრებდათ.

დიდმა მოქანდაკემ მათი დაკვეთა ისე შეასრულა, როგორც ძეგლშია განსახიერებული.

ჩვენი „წაკითხვით“ დავით აღმაშენებლის ძეგლი ხელისუფლებაში მყოფთ და სხვებსაც აფრთხილებს, რომ ქვეყნად უნდა იმეფო, ხელისუფლება განახორციელო, ან როგორც რიგითმა უნდა იშრომო და იღვაწო, არა იმდენად ძალით (ცხენზე ბერივით მჯდომს ხმალი სიმბოლურად ჰკიდია), არა იმდენად თანამდებობით (სიმბოლურად პატარა გვირგვინი ხურავს დიდ მეფეს), არამედ, უპირველესად, ქვეყნის, ხალხის (ზეაღმართული თითით საკუთარ მოღვაწეობას მაგალითად უსახავს ყველას) დიდი სიყვარულით. თუ ასეთი სიყვარულით ახორციელებთ ხელისუფლებას, ან შრომობთ და მოღვაწეობთ როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი, როცა დაგიდგებათ ამ ქვეყნიდან წასვლის ჟამი, აუცილებლად ინატრებთ და შეიძლება ანდერძად დაუტოვოთ თქვენს შთამომავლობას, საფლავი ისეთ ადგილზე გაჭრან, რომ ფეხი დაგადგას გულზე ყოველმან.

ადამიანების ასეთი დიდი სიყვარულით ყოვლისშემძლეს არ დაუჯილდოებია არც ერთი მეფე, არც დავით აღმაშენებლამდე და არც დავით აღმაშენებლის შემდეგ. ხალხის ასეთი დიდი სიყვარული არ გამოუმჟღავნებია არც ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფალთ.

ადამიანების ასეთი დიდი სიყვარულით დავით აღმაშენებელი უახლოვდება ქრისტეს სიყვარულს ყველასადმი.

დღეს, როდესაც იყიდება ის მიწა, რომელსაც სისხლით იცავდნენ ჩვენი წინაპრები, იყიდება ყველაფერი, რაც მომგებიანია და ხალხს აიძულებენ საარსებოდ საჭირო სახსრების გამოსამუშავებლად უცხო ქვეყნებში გადაიხვეწონ, ლაპარაკი ხელისუფლების არათუ სიყვარულზე, თანადგომაზეც კი, ცინიზმია. ისინი კანონით დაკისრებულ მოვალეობასაც არ ასრულებენ.

რას უნდა მიეყვანა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე?

2011 წლის 7 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თავის საშობაო ეპისტოლეში ბრძანა: „წმინდა მამები ამბობენ, რომ თორმეტი ვნება არსებობს და ვინც მათ შორის უმთავრესს — ამპარტავნობას თავის ნებით მიიღებს, მისი საშუალებით დანარჩენ თერთმეტსაც თავისკენ განუმზადებს ადგილს. ამპარტავნობა ეს არის უპირველესი და უსაშინლესი ცოდვა, რომელსაც თითქმის ყველა ადამიანში ჰქონდა და აქვს მეტ-ნაკლებად ფესვი გადგმული და სწორედ იგი არის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ღმერთთან ჩვენი მიახლოებისა. ამპარტავანი კეთილდღეობის შემთხვევაში კიდევ უფრო ამაყი ხდება, განსაცდელის ჟამს კი ხვედრს ემდურის, გაბოროტებულია, სიმშვიდეს ვერსად პოულობს და სასოწარკვეთისკენაა მიდრეკილი. ამპარტავანნი მაჭივრებელთ ბოროტად უპასუხებენ და თუ ამას საქმით ვერ აღწევენ, ცილისწამებას არ ერიდებიან“.

მართლმადიდებლობა დღეს ჩვენში და სხვაგან ადამიანთა ამპარტავნობას ასახელებს ძალიან გავრცელებულ ცოდვად.

მეოცე საუკუნის დასასრული და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი საქართველოში ამპარტავანთა ბუმით აღინიშნა. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, ერთ-ერთმა ქართველმა, რომელიც თავს თავს ეროვნული მოძრაობის ლიდერად თვლიდა, ეროვნულ სტადიონზე შეკრიბა რამდენიმე ათასი კაცი და მოსთხოვა მათ ხელის აწევით დაედასტურებინათ რომ 1941-1945 წლებში ქვეყნის მიერ გადატანილი ომი, ქართველი ხალხისთვის სამამულო ომად არ ჩაეთვალათ.

ჩათვლიდნენ თუ არა ისინი იმ სისხლისმღვრელ ომს ქართველი ხალხის სამამულო ომად, ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. საზოგადოების გაოგნება, მართლმადიდებლური განმარტებით, გამოიწვია მათმა ამპარტავნობის სიდიდემ. ძალიან ბევრმა ეს ფაქტი აღიქვა როგორც მცდელობა, დაეკნინებინათ ჩვენი ხალხის დამსახურება კაცობრიობის წინაშე და ფეხი დაედგათ ქართველი ხალხის ჯერაც მოუშუშებელ და მტკივნეულ ჭრილობებზე.

ასეთ კაცს ეროვნული მოძრაობის ლიდერად ხალხი როგორ მიიღებდა?

ე.წ. ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერმა, რომელიც შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, განაცხადა, მონობიდან სხვის მიერ გათავისუფლებული საქართველო მე არ მინდა, საქართველო მონობიდან მე უნდა გავათავისუფლოო.

ასეთ განცხადებებს აკეთებენ მხოლოდ ამპარტავანი ადამიანები. ამ ლიდერის ამპარტავნობა დადასტურდა მისი პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც, როცა მან არ მიიწვია „ეროვნული მოძრაობის“ სხვა ლიდერები ხელისუფლებაში, არ შესთავაზა მათ რაიმე სამსახური. თავის მხრივ, არც „ეროვნული მოძრაობის“ სხვა ლიდერებმა გამოიჩინეს კეთილგონიერება, არ შესთავაზეს თავისი სამსახური პრეზიდენტს, მიუხედავად იმისა, რომ როგორც თვითონ აცხადებდნენ, საერთო მიზანი ჰქონდათ. ამპარტავნობის სენით დაავადებულებმა და განდიდების მანიით შეპყრობილებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყანას თავს დაატეხეს სამოქალაქო ომი.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ქალაქ სოჭში ხელი მოაწერეს შეთანხმებას. შეთანხმება ითვალისწინებდა აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის აღდგენას და აფხაზეთიდან ლტოლვილთა „სინქრონულ“ დაბრუნებას საკუთარ სახლებში. ქართველმა პოლიტიკოსებმა საკუთარი ამპარტავნობისა (მართლმადიდებლური გაგებით) და ეგოისტური მიზნების გამო, დაბლოკეს მეტად მნიშვნელოვანი შეთანხმების შესრულება, რაც საბოლოო ჯამში ძალიან ძვირად დაუჯდა ჩვენს ხალხს. ასეთ პოლიტიკოსებს ხალხი არ ირჩევს. ხელისუფლებაში ისინი მოდიან მხოლოდ არჩევნების გაყალბებით, ამომრჩეველთა მოტყუებით და გადატრიალებით.

ხალხის მიმართ უსამართლობას მოყვასის მიმართ არა მარტო სიყვარულის დაკარგვა, არამედ უსულგულო დამოკიდებულება და მტრობა მოჰყვა. სამშობლოგაყიდული (თუ სამშობლოს მიერ გაყიდული?) ქართველობა ლუკმაპურის საშოვნელად მსოფლიოს მოედო და თუ სადმე ადამიანები ავიაკატასტროფაში იღუპებიან, მეკობრეების ტყვეები ხდებიან, საზღვრებზე ფეთქდებიან, ბრალდებულნი არიან მკვლელობებში, ხშირად ჩვენი ბედკრული ქვეყნის შვილები არიან.

რა სიყვარული შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ ასეთ ადამიანებს? მტრობის დანგრეული ქვეყნის აშენება, სიყვარულის გარეშე, როგორც ცნობილია, წარმოუდგენელია.

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის ძეგლს, მას დააბრუნებენ ქალაქის ცენტრში, როცა ზნეობა და ინტელექტუალური დონე საზოგადოებაში, ინტელიგენციაში მნიშვნელოვნად ამაღლდება, როცა ხელისუფლებაში მოვლენ კანონიერი გზით არჩეული, გამოცდილი და განსწავლული ადამიანები, რომლებიც კონსტიტუციისა და დემოკრატიული კანონიერების საფუძველზე იბრძოლებენ ხალხის ინტერესებისათვის და არა პირადი გამდიდრებისა და განდიდებისათვის.

დღეს კი, დავით აღმაშენებლის ძეგლი, ზეაღმართული თითით, უნდა იდგეს იქ, სადაც დგას!

**ნუგზარ კოზახიძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ „უნივერსიადა – 2011“



# წიწილებს ზაფხულშიც ითვლიან

**ქვეყნის 42 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები მონაწილეობდნენ საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და კომპანია „რომპეტროლის“ მიერ ორგანიზებულ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით გამართულ „უნივერსიადა – 2011“-ში.**

სულ მედლები 20 სახეობაში გათამაშდა (კარატე, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, ცურვა, კრივი, ქუჩის კალათბურთი, მძლეოსნობა, შვიდკაცა რაგბი, სამბო, ჭადრაკი, ჩოგბურთი, მკლავჭიდი, ხელბურთი, ქალისმიერი სამჭიდი, ტაეკვონდო, ფრენბურთი) და მათი მფლობელი 30 გუნდის წარმომადგენელი გახდა.

თვენახევრიანი ასპარეზობის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საქართველოს საუნივერსიტეტო ნაკრები, რომელიც წლეულს აგვისტოში ჩინეთის ქალაქ შენძენში მსოფლიო უნივერსიადაზე გაემგზავრება და სპორტის 8 სახეობაში მიიღებს მონაწილეობას.

**„უნივერსიადა – 2011“-ის საპატიო კვარცხლეკი**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – 15 „ოქრო“, 14 „ვერცხლი“, 16 „ბრინჯაო“. 2. ილიას უნივერსიტეტი – 15, 11, 14. 3. აგრარული უნივერსიტეტი – 11, 15, 24.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ჭიდაობა

# მონაგარი ერთმა ინციდენტმა გააფერმკრთალა

**გასულ უქმეებზე თბილისის სპორტის სასახლეში სახელოვანი ფალავნების – გივი კარტოზიას და ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებში ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში მასპინძლებმა საგულისხმო წარმატებას მიაღწიეს: 5 ოქროს, 9 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოს მედალი – ასეთია ჩვენებურთა მონაგარი.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ დავით მოძმანაშვილი, გიორგი ედიშერაშვილი, შალვა მუზიაშვილი (სამივე – თავისუფალი ჭიდაობა), ლაშა გოგიტაძე და ირაკლი ქაჯაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). მხოლოდ თითო პაექრობა დათმეს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს გოჩა ლომიძემ, არჩილ ქიტიაშვილმა, ელიზბარ ოდიკაძემ (თავისუფალი), ირაკლი ჭოჭუამ, მარადი აბულაძემ, მანუჩარ კვირკველიამ და რევაზ ნადარეიშვილმა (ოთხივე – ბერძნულ-რომაული), ხოლო მულხაზ ზარქუა, ლევან ბერიანიძე, გიორგი საკანდელიძე, ტრისტან ჩირგაძე, გივი დავიდოვი, გიორგი მარსაგიშვილი, ლევან სეთურიძე, დავით ქერაშვილი (თავისუფალი), ლაშა ლელაშვილი, მუხრან მაჭუტაძე, იაკობ ქაჯაია, ქემალ ხარაბაძე, მანუჩარ ცხადაია და მათე სოფაძე (ბერძნულ-რომაული) მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.



შეჯიბრება სპორტის სასახლეში კარგად იყო ორგანიზებული და სტუმარ-მასპინძლები კმაყოფილნი დატოვებდნენ სარბიელს, რომ არა ერთი ინციდენტი – ფინალური პაექრობისას არბიტრების გადაწყვეტილებით უკმაყოფილო გიორგი დათუნაშვილმა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ერთ-ერთ მსაჯს ხელი გაარტყა, რამაც დიდი არეულ-დარეულობა გამოიწვია. ამ ფაქტის გამო ქართველ მოჭიდავეს სულ მცირე ორი წლით დისკვალიფიკაცია მაინც ელის. გულსატკენია, როცა ახალგაზრდა კაცი კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ გზის გაკვალვას მუშტების ქნევით ცდილობს, თუნდაც იმ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ცამდე მართალი ყოფილიყო.

**ლექსო ცინცაძე**

◉ რაგბი

# „აია“ – სრული სვლით



**ექვსიდან ექვსი მოგება – ასეთია ქუთაისის „აიას“ წლევანდელი მონაგარი მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში.** ბოლო ტურში რიონისპირელებმა დიდ დიღომში „ვისოლის“ სარაგბო სტადიონზე პირველობის აუტსაიდერ „ყოჩებს“ მეექვსე მარცხი აგემეს – 23:10. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა „ლოკომოტივმა“ „აკადემიასთან“ წააგო – 10:24, საქართველოს თასის მფლობელმა „ლელომ“ დაძაბულ ბრძოლაში რუსთავის „ხარებს“ აჯობა – 14:7, ხოლო ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა „არმიამ“ მატჩის ბოლო წამებზე წაგლიჯა ორი ქულა „არმაზს“ – 28:25.

**ექვსი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აია“ | 6 | 6 | 0 | 0 | +95 | 12 |
| „არმია“ | 6 | 4 | 1 | 1 | +21 | 9 |
| „ლელო“ | 6 | 4 | 0 | 2 | +47 | 8 |
| „აკადემია“ | 6 | 2 | 2 | 2 | -3 | 6 |
| „ლოკომოტივი“ | 6 | 3 | 0 | 3 | +18 | 6 |
| „არმაზი“ | 6 | 2 | 1 | 3 | -27 | 5 |
| „ხარები“ | 6 | 1 | 0 | 5 | -66 | 2 |
| „ყოჩები“ | 6 | 0 | 0 | 6 | -85 | 0 |

◉ კალათბურთი

# „ვერცხლიც“ ჯილდოა

**უკვე გაუწყეთ, რომ ლიუბლიანის „ოლიმპიამ“ სლოვენიის ჩემპიონობის მეთექვსმეტედ მოპოვების შანსი მაშინ გაუშვა ხელიდან, როცა ფინალური სერიის მეოთხე მატჩი შინ ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ ნოვო მესტოს „კრკასთან“ წააგო და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა – 2:2.**

პროვინციულმა კლუბმა მშვენივრად ისარგებლა საკუთარი მოედნის უპირატესობით, დამატებითი მეხუთე ბრძოლაც წარმატებით დაასრულა – 64:57 და ტიტული შეინარჩუნა. შეხვედრის ბედი მესამე და მეოთხე პერიოდების მიჯნაზე გადაწყდა, როცა მასპინძლებმა აიწყვიტეს და დროის აღნიშნულ მონაკვეთში 25:6 (!) გაიჯეჯილეს. ასე რომ, გიორგი შერმადინმა (5 ქულა) და ვლადიმერ ბოისამ სეზონი სლოვენიური „ვერცხლით“ დაასრულეს.

* * *

ალბათ, ანალოგიური შედეგი ექნება დასკვნითი ბატალიების შემდეგ კიდევ ერთ ქართველ ლეგიონერს მანუჩარ მარკოიშვილს, რომელიც „კანტუში“ თამაშობს და იტალიის ჩემპიონატის პირველი ფინალური მატჩი (სერია ოთხ გამარჯვებამდე გრძელდება) გამოკვეთილ ფავორიტ სიენას „მონტეპასკისთან“ უიმედოდ დათმო – 75:100. ჩვენი თანამემამულე პარტნიორთა შორის საუკეთესო იყო – 14 ქულა.



**„დალას მავერიქსი“ პირველად გახდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი მას შემდეგ, რაც ფინალური სერია სპეციალისტთა უმეტესობის მიერ ფავორიტად მიჩნეულ „მაიამი ჰითს“ მოუგო – 4:2.**

უკანასკნელი მეექვსე ბრძოლა ტეხასელებმა სტუმრად გამართეს და ღირსეული გამარჯვებითაც დააგვირგვინეს – 105:95. მათმა ვეტერანმა სნაიპერმა ჯეისონ ტერიმ 27 ქულა მოაგროვა, ხოლო გერმანელმა ცოცხალმა ლეგენდამ და გუნდის ლიდერმა დირკ ნოვიცკიმ – 21 ქულა. ასე რომ, ფლორიდელთა ვარსკვლავური ტრიო ლებრონ ჯეიმსი – დუეინ უეიდი – კრისბოში „ვერცხლს“ დასჯერდა.



**გიორგი შოთაძე**

◉ ინტერნეტიდან

## კანადაში ბატონმა იბატონა



**თუმცა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპის „კანადის გრან-პრის“ დროს მონრეალში ოთხ საათზე მეტხანს გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა „მაკლარენის“ ბრიტანელ პილოტს ჯენსონ ბატონს, ბოლო წრეზე რომ გადაესწრო წლევანდელი გათამაშების ლიდერ სებასტიან ფეტელისთვის და ფინიშთან პირველი მისულიყო.**

როგორც გამარჯვებულმა აღნიშნა: „ბოლო წრეებზე ვცდილობდი სებასტიანისთვის გადასწრებას, ის რაღაც ფართოდ შევიდა მოსახვევში ტრასის სველ მონაკვეთზე და მეც გამოვიყენე ეს შესაძლებლობა. ფანტასტური რბოლა იყო. ის მაინც დამამახსოვრდებოდა, არც რომ გამემარჯვა, მაგრამ პირველი ადგილი გასაოცარია. შესაძლოა, ეს საუკეთესო გამარჯვება იყოს ჩემს კარიერაში“.

ფეტელის შემდეგ პოდიუმთან მესამე იყო მისივე თანაგუნდელი „რედ ბულიდან“ მარკ უებერი. მეოთხე ადგილზე – შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი („მერსედესი“).

7 ეტაპის შემდეგ ჩემპიონატის ლიდერები ასე განლაგდნენ: ფეტელი (161 ქულა), ბატონი (101), უებერი (94), ჰემილტონი (85), ალონსო (69), მასა (32), პეტროვი (31).

## რონალდუ – „სიტიში“?

**ნუ გაგიკვირდებათ, მადრიდის სამეფო კლუბის „რეალის“ ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ მზადაა, გადავიდეს ინგლისურ „მანჩესტერ სიტიში“, თუკი კლუბის ხელმძღვანელობა დააკმაყოფილებს ამ სახელოვანი ფეხბურთელის ფინანსურ მოთხოვნებს. აი, როგორ აფასებს თავის „სამსახურს“ პორტუგალიელი ფეხბურთელი – 400 ათასი გირვანქა კვირაში. ამას დაუმატეთ, რომ რონალდუს უნდა გუნდის კაპიტნობა და 7-ნომრიანი მაისურით თამაში.**



რამ განაპირობა რონალდუს ესპანეთის საქვეყნოდ აღიარებული კლუბიდან წასვლა? როგორც ამბობენ, გასულ სეზონში რონალდუს კონფლიქტი ჰქონდა გუნდის მთავარ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუსთან. რის შემდეგაც პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს „რეალი“ აპირებს ნახევარმცველის მიყიდვას „მანჩესტერ სიტისთვის“ 150 მილიონ გირვანქად.

## რუნი ამღერდა

**თმის გადანერგვის პროცედურის შემდეგ ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი უეინ რუნი დასასვენებლად კუნძულ ბარბადოსზე გაემგზავრა.**

ინგლისის ჩემპიონი ერთ-ერთ ბარში პიანისტს მიუჯდა და ამღერდა, მან შეასრულა პოპური Beatles და Queen სიმღერების კომპოზიციიდან.



თვითმხილველთა თქმით, ამღერებული ფეხბურთელი ძალზე ღელავდა, რაც მის ხმასაც დაეტყო. თუმცა თუ რუნის ცოლ კოლინს დავუჯერებთ, ეს იყო ფანტასტიკური ღამე პიანო-ბარში.

ალბათ უეინს უნდა მივულოცოთ. ჩანს, მას სულ დაავიწყდა გასული სეზონის უსიამოვნებები და მშვენივრად ატარებს შვებულებას.

## მშვიდობაში მოახმაროთ!

**პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა People განაცხადა, რომ მზადაა, მილიონი დოლარი გადაიხადოს ცნობილი გლამურული ლამაზმანის კიმ ყარდაშიანისა და „ნიუ-ჯერსის ნეტსის“ კალათბურთელის კრის ჰამფრის მომავალი ქორწილის გაშუქების უფლებისთვის.**

როგორც ამას წინათ თავად კიმმა განაცხადა, გათხოვების შემდეგ აპირებს მომავლი ქმრის გვარის აღებას. ქორწილი კი ალბათ ან ივლისის ბოლოს, ანდა აგვისტოს დასაწყისში გაიმართება. რათა შემდეგ კრისმა მოასწროს ახალი სეზონისთვის მომზადებაც და საქორწინო მოგზაურობაც.

ამას წინათ შემდგარ ნიშნობაზე საქმრომ კიმს აჩუქა ძვირფასი ბეჭედი, დაახლოებით 20 კარატს რომ იწონის და 0,3 მილიონი დოლარი ღირს. მასზე ამოტვიფრულია ფრაზა „კ-ის უყვარს კ.“.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ რეპლიკა

## ორი ვერსია ვისმინე, ვაი, ვაი! ჰოდა, ვირწმუნო ვისი მე, ვაი, ვაი!..

**26 მაისს, უკვე „სახელგანსმენილი“ დარბევის შემდეგ შემდგარი სამხედრო აღლუმის საკონცერტო ჩაროზის დროს (არ ეკონცერტებოდათ, თუ რა!) ცნობილი სუხიშვილების მოცეკვავეთა ანსამბლის მიერ არ შესრულებულა დაგეგმილი ვაჟთა ხორუმი.**

არაერთ საგაზეთო პუბლიკაციაში გასაგები კმაყოფილებით აღინიშნა ეს ამბავი და ბიჭებს პროტესტის გამოსახატავად, შესაბამისად, ვაჟკაცობად ჩაეთვალა; მეორეს მხრივ, ანსამბლის ხელმძღვანელმა ნინო სუხიშვილმა ტელეეკრანზე გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ „უხორუმობა“ პრეზიდენტის (უმაღლესი მთავარსარდლის!) განკარგულებას მოჰყოლია – არ იცეკვონ, უხერხულად გამოვაო (თითქოს სხვა ყველაფერი ხერხიანად გამოვიდა!).

გაზეთებში და ზოგიერთი არხის ეკრანზე აქამდე გრძელდება მოცეკვავე ვაჟთა შექება... თუ ხორუმის არშესრულება მართლაც მიხეილ-ბატონის მითითება იყო, ამას მაინც ნუ დავუკარგავთ, ძლივს რაღაც გონივრული მოხუშტურებია...

**ბერდია ბედოიძე**

◉ ხუმარსიტყვა

## თქვენო ბრწყინვალებავ!..

**კალამმახვილი კარგ ლექსებს წერდი,**
**თუმცა ბოლო ხანს ჰონორმა გძლია.**
**ორდენისათვის, პოეტო, სწორდი!**
**პრეზიდენტისკენ ცუნცულით იარ!..**

**რამაზ ნარეკალიძე**

◉ ინფორმაცია

## საგაზაფხულო გაწვევა ნაადრევად დასრულდა

**აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მიიღო. 5 175 წვევამდელი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თავდაცვის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების სამინისტროს მოთხოვნა დაკმაყოფილებულიყო.**

**— საგაზაფხულო გაწვევა დასრულებულია. დასრულებულია ის წარმატებით. ყველა დაკვეთა შესრულდა. დაკვეთები მიღებული გვქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან და თავდაცვის სამინისტროდან. როგორც არასდროს გაწვევა ერთი თვით ადრე, თუმცა ძალზედ წარმატებით დავასრულეთ, — განაცხადა ნიკოლაიშვილმა წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტის სარემონტო სამუშაოების მონახულებისას.**

**2011 წლის საგაზაფხულო გაწვევა იყო ბოლო, როდესაც წვევამდელთა მობილიზება ძველი წესებით მოხდა. შემოდგომიდან წვევამდელთა გაწვევა მოხდება ახალი და რეაბილიტირებული შენობიდან.**

◉ ტესტი

# ზაფხულის დასვენება

**უპასუხეთ შემოთავაზებულ შეკითხვებს და გაიგეთ, შეგიძლიათ თუ არა მოაწყოთ დასვენების დრო და უკეთესად როგორ გაატაროთ შვებულება**



**1. ხართ მარდი, ენერგიული?**
ა) დიახ,ყოველთვის მზად ვარ სადმე წავიდე;
ბ) უფრო ვარ, ვიდრე არა;
გ) არა.

**2. დასვენების დროს გირჩევნიათ იცხოვროთ:**
ა) კარავში;
ბ) სასტუმროში;
გ) არ აქვს მნიშვნელობა სად, მთავარია ვისთან.

**3. დასვენება უფრო მეტად გიყვართ:**
ა) მხიარულ კამპანიაში;
ბ) კარგად ნაცნობი ადამიანების წრეში;
გ) ცალკე.

**4. თქვენ კამპანიასთან ერთად ბუნებაში ხართ, ამინდი კი უიმედოდ გაფუჭდა, ამ დროს რომელი სიმღერა იქნებოდა თქვენთვის გუნების შესაბამისი:**
ა) „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“;
ბ) რუსული სიმღერა „у природи нет плохои погоди“...
გ) „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“...

**5. რა არის თქვენთვის ჯანსაღი დასვენება?**
ა) ქალაქგარეთ გასვლა ბუნებაში ან მიწის ნაკვეთში;
ბ) ლაშქრობები, დაშვებები მთის მდინარეებზე, მოგზაურობა ავტოსტოპებით;
გ) დივანზე წოლა და სპორტული ტელეპროგრამების ან სერიალების ყურება.

**6. ყოველთვის მთლიანად იყენებთ თქვენს შვებულებას?**
ა) ვითარების მიხედვით, ზოგჯერ ეს ვერ ხერხდება;
ბ) ჩვეულებრივად კი;
გ) ყოველთვის ვერა.

**7. წარმოიდგინეთ, რომ საქმის გამო სხვა ქალაქში აღმოჩნდით, სადაც აქამდე არ იყავით ნამყოფი. როგორ გაატარებთ თავისუფალ დროს?**
ა) გაეცნობით ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს;
ბ) ბუნებაში;
გ) სასტუმროში ტელევიზორთან.

**8. მიგაჩნიათ, რომ ზაფხული — დასვენების საუკეთესო დროა?**
ა) დიახ, ზაფხული — ეს არის მზე, ზღვა, ხილი;
ბ) დასვენებისთვის ყველა დრო კარგია;
გ) არა, მე სიცხე მიყვარს.

**9. რომელი გამოთქმა არის თქვენთვის ყველაზე ახლობელი?**
ა) „ვისაც დასვენება შეუძლია, სჯობია მას, ვისაც ქალაქების აღება შეუძლია“;
ბ) „ადამიანი ისეა შექმნილი, რომ ისვენებს ერთი სამუშაოდან, როდესაც სხვა სამუშაოს იწყებს“;
გ) „ზოგიერთი დასვენება უფრო გღლის, ვიდრე სამუშაო“.

**10. თქვენი აზრით, დასვენება უნდა შეიცავდეს:**
ა) სიამოვნებას სასარგებლოსთან ერთად;
ბ) სიამოვნებას ამაღელვებელთან ერთად;
გ) უსარგებლოს დამამშვიდებელთან ერთად.

## ცხრილის დახმარებით დაიანგარიშეთ ქულები

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 1 | 2 | 1 | 3 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | 3 |
| ბ | 2 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 3 | 2 |
| გ | 3 | 1 | 3 | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 2 | 1 |

**10-16 ქულა. „თუ მუშაობა ეხალისება, დასვენებაც მხიარულია მასთან“ — ეს ანდაზა თქვენ შეგეფერებათ. თქვენ, ალბათ, ცდილობთ, გაუფრთხილდეთ დასვენების ყოველ დღეს. შეგიძლიათ თავის გართობა, სხვების დამუხტვაც თქვენი ენერგიით. სადაც უნდა წახვიდეთ, შვებულება გპირდებათ, რომ იქნება ნათელი და დასამახსოვრებელი.**

**17-23 ქულა. თქვენ შეგიძლიათ დაისვენოთ გემოვნებით. თქვენთვის, როგორც ჩანს, უფრო მისაღებია რომანტიკული და არა ზედმეტად აქტიური და ექსტრემალური დასვენება. მწვადი ბუნებაში, თევზაობა, საუბარი გიტარით ხელში ცეცხლის გვერდით... ნუ ეტყვით თავს უარს კმაყოფილებაზე და ნუ გადადებთ შორს შვებულებას, ვინაიდან ზაფხულის განცხრომაში გატარებული დრო სიცოცხლეს გმატებთ.**

**24-30 ქულა. ყოველთვის არ გამოგდით თქვენი დასვენების გამრავალფეროვნება და საერთოდაც, სავსებით შესაძლებელია, რომ დასვენება კარგად არ შეგიძლიათ. შეამოწმეთ, თუ ცოტა ხნით დაივიწყებთ საქმეს, ქვეყანა ამით არ დაიქცევა, სიბრძნე გვიკარნახებს: ადამიანი, ვინც არ ზრუნავს დასვენებაზე, ჰგავს ხელოსანს, რომელსაც ვერ მოუცლია თავისი ინსტრუმენტების გასალესად. ზაფხული მალე გადის! ასე რომ, მოკიდეთ ხელი ჩემოდანს და კურორტისკენ — ჰერი, ჰერი!**

სულთათანა

## ქალბატონ ტატიანა ხურცილავას ხსოვნას



კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე შეწყდა...

გაჩერდა დედის გულისცემა...

დედის, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება შეალია სიყვარულით საქმის კეთებას, სიკეთის კეთებას და ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

შეალია და დაიფერფლა როგორც სანთელი, სანთელი ანთებული ჩვენი ნათელი მომავლისთვის.

რა გითხრათ დედა, რით ვინუგეშოთ თავი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა.

მიიღე ჩვენი გულწრფელი ცრემლები ნიშნად მარადიული პატივისცემისა და სიყვარულისა.

შენ ჩამოგვაყალიბე ადამიანებად, პასუხისმგებლობის მატარებელ ადამიანებად, გვასწავლე და შეგვაყვარე ქართული ენა და ვამაყობთ ამით.

სიამაყეც შენ გვასწავლე, სიყვარულიც, ერთგულებაც და პატიოსნებაც.

ვამაყობთ და ვიამაყებთ შენით, სანამ სული გვიდგას და უფრო ამაყები ვართ, როცა ვხედავთ როგორ განიცდიან და წრფელ ცრემლებს გიძღვნიან ჩვენი შვილები.

რა არის ეს თუ არა გენი.

ეს გენი შენში არ მომკვდარა, ის გადმოვიდა ყოველ ჩვენგანში და ასევე სიყვარულით დავამთავრებთ ჩვენს სიცოცხლესაც.

შენ არა მხოლოდ დედა იყავი, არამედ მასწავლებელიც და არა მარტო ჩვენი, არამედ მრავალი თაობის.

მიუხედავად სიჭარმაგისა ისინი ასევე ცხარედ ტირიან, როგორც შენი შვილები და შვილიშვილები.

ქართული ტრადიცია — ეს იყო შენი ცხოვრების კრედო. ერთხელ გვითხარი, რა არის ის ოჯახი, სადაც არ არის მოხუცი, ახალგაზრდა და სტუმარიო. და ახლა ჩვენ მოხუცის გარეშე დავრჩით, თუ უკვე ჩვენ ვართ ის მოხუცები, რომლებიც შენსავით ვეტყვით იგივე ფრაზას ჩვენს შვილებს, მაგრამ ვეტყვით იმ გრძნობით და შეგნებით, როგორც შენ ამას ამბობდი?..

შევეცდებით...

სიცოცხლის ბოლომდე დარჩი კეთილი და მგრძნობიარე, უკვე წარსულ დროში ვლაპარაკობთ და ვიხსენებთ, როგორ უხდიდი მადლობას ყველა მნახველსა და სტუმარს. მიუხედავად იმისა, რომ გატყობდი, ვერ იხსენებდი მათ სახელსა და წარმომავლობას.

ეს სიკეთეც ხომ ჩვენშია.

მადლობა დედა, მადლობა ყველაფრისთვის. ვერაფერს ვერ გჩუქნით, ვერაფერს ვერ გატანთ სასუფეველში ამ მადლობის გარდა.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა და გისურვებთ მარადიულ ცხოვრებაში ისევე იწვოდე და ანათებდე, როგორც ეს ყოფით ცხოვრებაში იყო.

მშვიდობით და კიდევ ერთხელ მადლობა.

შენი ოჯახი

**თემურ ჯანაშია, ნოდარ თოფურია, სს „თბილქალაქმშენი“და საქართველოს მშენებელთა ფედერაცია იუწყება, რომ ფედერაციის წევრს, დამსახურებულ მშენებელს ბატონ სოსო კირცხალიას გარდაეცვალა დედა, დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, საგანმანათლებლო სფეროში და საზოგადოებაში გამორჩეული პიროვნება, ღვაწლმოსილი ქალბატონი**

**ტატიანა ხურცილავა**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის შვილებს, ოჯახის წევრებს, ნათესავებს და სენაკის საზოგადოებას.**

**ზურაბ ერქვანიას ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება დიდებული ქალბატონის**

**ტატიანა ხურცილავას**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ბატონ იოსებ კირცხალიას ოჯახსა და ახლობლებს.**

**ნუგზარ ლომაია თანაუგრძნობს სოსო კირცხალიას დედის, ქალბატონ**

**ტატიანა ხურცილავას**

**გარდაცვალების გამო.**

## განცხადება

**2011 წლის 4 აგვისტოს, 12 საათზე, ქ. გარდაბანში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, გაიმართება შპს „ბელ-ბაუს“ კუთვნილი ასფალტ-ბეტონის საწარმოს (გარდაბანი, სოფ. მარტყოფი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 81.10.27.730) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ასფალტ-ბეტონის წარმოება.

დაგეგმილ საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

— ქ. თბილისი, გულუას ქ.№6. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტი.

— ქ. თბილისი, შევჩენკოს ქ. №20, შპს „ბელ-ბაუ“.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებები და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, შევჩენკოს ქ. №20, შპს „ბელ-ბაუ“.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ქველმოქმედება

# „გალა – იტალია“



**ჩვენი სახელოვანი მომღერლის და ქველმოქმედის პაატა ბურჭულაძის ფონდი „იავნანა“ დღეს კიდევ ერთ გრანდიოზულ სანახაობას გვპირდება – თბილისის მთავარ საკონცერტო დარბაზში გაიმართება იტალიის გაერთიანების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო – „გალა-იტალია“.**

ფონდ „იავნანასთან“ ერთად, კონცერტის ორგანიზატორია იტალიის საელჩო საქართველოში და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს კულტურის სამინისტრო.

აი, რა თქვა იტალიის ელჩმა საქართველოში ვიტორიო სანდალმა: წლების განმავლობაში იტალიის საელჩომ საქართველოში მრავალი გამოფენა, კონცერტი, თემატური კონფერენცია გამართა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია უძველესი ქართული ხელნაწერის აღდგენა-რესტავრაცია, აგრეთვე, ქართველი და იტალიელი ექსპერტების ჯგუფის დაფინანსება, რომელიც მომავალი წლიდან ქართულ სკოლებში იტალიური ენის სწავლების პროგრამას განახორციელებს. ყველაფერი ეს, დღევანდელი კონცერტის ჩათვლით, ორი ერის ერთმანეთის კულტურებისადმი დიდი ინტერესის დასტურია.




**პაატა ბურჭულაძე** გულწრფელად ულოცავს იტალიელ კოლეგებს და მეგობრებს ქვეყნის გაერთიანების 150 წლისთავს და ამაყად ამბობს: იტალიელი მომღერლები და იტალიის საელჩო უცხოელთაგან პირველები იყვნენ, რომლებიც მხარში ამოუდგნენ ფონდ „იავნანას“. 2004 წლიდან მოყოლებული ჩვენ მრავალი ერთობლივი საქველმოქმედო კონცერტი გავმართეთ. დიდი მადლობა ჩემს კოლეგებს, მსოფლიოში აღიარებულ მომღერლებს – ანტონელო პალომბის, ჩინცია ფორტეს, ვიტორიო ვიტელის, გამოჩენილ დირიჟორს ატილიო ტომასელოს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრსა და გუნდს, რომლებიც ამშვენებენ და ავტორიტეტს უმაღლებენ ჩვენს ღონისძიებებს.

დღევანდელი კონცერტის შემოსავლებიდან კიდევ ერთ შვიდშვილიან, უმწეო ოჯახს შევუძენთ ბინას და მთლიანად შევცვლით მათ ცხოვრებას... შეგახსენებთ, რომ დღემდე „იავნანამ“ 5200-ზე მეტ ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვს უპატრონა, „იავნანას“ სამეგობროებმა კი 317 მოზარდის მზრუნველობა შეძლეს. ჩვენი ფონდის აქციებში მონაწილეობა ყველას შეუძლია, როგორც საქართველოდან, ისე მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა „იავნანას“ გულშემატკივრებს!..

**დღევანდელი კონცერტი საღამოს 20 საათზე დაიწყება... თქვენ კი არ დაგავიწყდეთ, დარეკეთ 30-30!**

**სპარტაკ ქობულია**

სულიერება

# ...სულთმოფენობის დღესასწაული გრძელდება



**საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ იზეიმა სულთმოფენობის დღესასწაული, რომელიც უფლის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს აღინიშნება, როგორც უდიდესი საუფლო დღესასწაული.**

...იესო ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოციქულებზე გადმოვიდა სულიწმინდის მადლი ცეცხლოვანი ენების სახით, და მათაც წმინდა სულით აღვსილებმა თავიანთი ნათელით გაანათეს ურწმუნოების წყვდიადი და ულმერთობა.

სულთმოფენობის დღესასწაული ქრისტეს ეკლესიის დაბადების დღეა!

ქრისტიანობა ხომ სულიწმინდის მადლითა და მისი მოპოვებით განისაზღვრება.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II საზეიმო წირვის დამთავრებისას, სამების ტაძრიდან მრევლს მუხლმოდრეკის სპეციალური ლოცვების წაკითხვის შემდეგ ქადაგებით მიმართა: „...ოქრომ ბრწყინვა რომ დაიწყოს, ადამიანის სული რომ ცოდვისგან განიწმინდოს, ცხოვრებისეულ ქურაში უნდა გამოიწვას ღვთაებრივი ცეცხლის ზემოქმედებით“...

სულთმოფენობას ეკლესია-ტაძრები მშვენიერი ყვავილებით შემოსა მრევლმა, ყვავილი ხომ ღვთის საოცარი ქმნილებაა, რომელიც თავისი უბრალოებით და კეთილსურნელებით გამოირჩევა!

მომდევნო დღეს კი საქართველოს ყველა ეკლესიამ სულიწმინდის ორშაბათის დღე იდღესასწაულა.

...მართლაც და, საოცარია მადლი ამ ზეციური დღესასწაულისა, რომელიც მთელი კვირის მანძილზე გაგრძელდება!

**გიული ლიპარტია**

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6578 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4240 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7150 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +17 – +29 |
| ქუთაისი. | +17 – +28 |
| ბათუმი. | +19 – +26 |
| ზუგდიდი. | +17 – +29 |
| თელავი. | +17 – +28 |

კადრი



ანეკდოტები

26 მაისს ვიზეიმეთ ხალხისგან ხელისუფლების დამოუკიდებლობის დღე.

* * *

არც ერთი დეპუტატი არ ასწევს ხელს ქალსა და მოხუცზე. მაგრამ ამას ძალიან იოლად გააკეთებენ მათთვის პენსიის არგაზრდის თაობაზე კენჭისყრისას.



მიდის ფუკუსიმას რეაქტორის სახურავზე ორი ცისფერი, ერთი – აქტიური, მეორე კი – რადიაქტიური.

* * *

რაკი ბუნებამ ქალს ფიზიკური ძალა არ დაანათლა, ქალმა სრულყოფილად აითვისა ფსიქოლოგიური ძალადობის ხელოვნება.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24